





ღვთისმშობლობა. ქართველთა გაერთიანების დიდი ზეიმი ქუთაისში.

## წმინდა თარიღები



### 27 იანვარი — ნინოობა

„... ო, მეუფებაო ქართველთაო, იხარებდე, რამეთუ ნინომ დაგადგა შენ გვირგვინი ქრისტეს მიერი, ნინომ ლომებრ ახოვანმა, ბრძენმა გულითა". ძველი ქართველი ჰიმნოგრაფის არსენ ბულმაისიმიძის სიტყვებით, ნინოს ხსენება სწორედ რომ „სიხარულის ღირს არს", რამეთუ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას იცავს და იფარავს მისი მადლი:

**„რაბამ საკვირველი**
**მოქალაქობა შენი.**
**რაბამ შვენიერ**
**მოციქულობა შენი**
**და ყოველივე სიკეთითა**
**აღსავსე, ქალწულობითა**
**შემკობილო, ჰოი, ნინო."**

ეჰე, ქადაგო და განმანათლებელო ჩვენო! ჰოი, ნინო მოხედენ ლმობიერად ლოცვათა ჩვენთა და მოწყალე ყავ ღმერთი. **ითხოვე ჩვენთვის ხსნა ყოველთა ჭირთაგან და განსაცდელნი გარეუკუ-აქციე.**

„... სარწმუნოება, რომელი გვასწავლე ჩვენ, ითხოვე დაცვად საუკუნოდ ჩვენ შორის მოუდრეკელად, ჰოი, ნინო მოციქულო. და მარადის ილვწოდი ერთა ამათთვის, რომელ დაასხენ სამწყსოსა შენა შენსა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობა — ყველა პერსპექტივის დასაწყისი

# ჩემი თაობის თავზე დოლაბი არ დატრიალებულა

ახალმა პარლამენტმა ახალი თაობა წარმოაჩინა, ზოგი მათგანი ასე თუ ისე ნაცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის, ზოგსაც ახლა ვეცნობით. გიორგი ბარამიძე ასაკით ახალ თაობას ეკუთვნის, ბიოგრაფიით კი საკმაოდ ნაცნობსა და გამოცდილს. ამიტომ მივიღეთ ასე ბუნებრივად მისდამი იმ დიდი ნდობის გამოცხადება, რასაც მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულება ჰქვია.

შტრიხები ბიოგრაფიიდან: დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს. დედა ინჟინერია, მამა — პედაგოგი. დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

ახლა კი მცირე ლირიკული გადახვევა იმის თაობაზე, თუ როგორ მოვიპოვეთ ინტერვიუ ახლადარჩეულ გენერალურ მდივანთან.

...ვაშლიჯვარის ოფისში (სადაც მოქალაქეთა კავშირის შტაბ-ბინაა) რომ გაძნელდა ტელეფონით დაკავშირება, გადავწყვიტე შინ, გიორგის ოჯახში დამერეკა. ყურმილი სასიამოვნო ხმის ქალბატონმა, — როგორც შემდეგ გაირკვა, — გიორგის ბებიამ აიღო. გიორგი რომ ვიკითხე, — არ არისო, მიპასუხა, — წუხელ საერთოდ არ მოსულა, ასეა ხშირად, ოფისში ათენ-აღამებსო, — დასძინა. თან მომიბოდიშა — ძლივს ვლაპარაკობ, ისე ვარ გათოშილი ამ უშუქობა-უგაზობისგან, ახლა ისიც დაემატა, წყალიც არ მოდისო. — გიორგის ბებიას ეს როგორ აკადრებ-მეთქი, მეც გავეხუმრე, — ეჰ, დედა, შვილო! — დღეს ყველა ამ დღეში ვართ, და მე რა გამონაკლისი ვიქნებიო.

— სად იქნება ახლა გიორგი? — ვიკითხე.

— ვაშლიჯვარის ოფისში ან პარლამენტში, სხვაგან არსად არაა მისი სამყოფელიო, — დამიზუსტა. მას შემდეგაც ბევრჯერ მომიხდა არა მარტო ოჯახის წევრების, სხვების შეწუხებაც, გიორგის რომ დავკავშირებოდი... ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მაინც შედგა:



**— ბატონო გიორგი, რამ განაპირობა თქვენი ლტოლვა პოლიტიკური სარბიელისაკენ?**

— სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთანავე აქტიურად ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. იმთავითვე ჩემი კრედო გახდა, მეკეთებინა კონკრეტული საქმეები და ამით მიმეღწია პრაქტიკული შედეგისათვის. დიდი სიმპათიით ვუყურებდი და გულისყურით ვეცნობოდი მსოფლიოში გარემოს დაცვის პრობლემებს. შემდგომში კი გადავწყვიტე, დავკავშირებოდი იმ პირებს, რომლებსაც ეს საკითხი აინტერესებდათ. ვთვლი, რომ ამ მხრივ ბედმა გამიღიმა. შევხვდი იმ ადამიანებს, რომლებიც შემდგომში ჩემი მასწავლებლები და მეგობრები გახდნენ. ჩვენ ერთობლივი მუშაობით ჩამოვაყალიბეთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ეკოლოგიური ასოციაცია, შემდეგ კი საქართველოს მწვანეთა პარტია. ამავე პარტიის სახელით მივიღეთ მონაწილეობა წინა არჩევნებში, საკმაოდ წარმატებითაც. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად ძალზე ღარიბულად გამოვიყურებოდით, საქართველოს მწვანეთა პარტია მაშინ მეორე ადგილზე გავიდა.

**— თქვენ ახალგაზრდობის იმ თაობას ეკუთვნით, რომელსაც, სამწუხაროდ, ია-ვარდით მოფენილ გზაზე არ უვლია, არამედ ცხოვრებამ დასაწყისშივე საკმაოდ მკაცრი და მწარე გაკვეთილი მოუწყო. როგორ ფიქრობთ, დაძლეულია თუ არა გზის მძიმე მონაკვეთი?**

— ჩემი თაობის თავზე, დოლაბი არ დატრიალებულა, თორემ ყველა განსაცდელმა გადაიარა: ეს იყო იმპერიის ნგრევის პროცესები, ჩვენი ქვეყნის გასაჭირი, შინააშლილობა, ომი, შიმშილი, სიცივე... ამ განსაცდელის ჟამს ჩვენ ყოველთვის ვილვწოდით ქვეყნის გადასარჩენად. ყველაზე მტკივნეული მაინც აფხაზეთის პრობლემა იყო. თავიდან პირადად მე აფხაზეთის ომში ჰუმანიტარული დახმარების შტაბს ვხელმძღვანელობდი, შემდგომ კი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელი, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და ტყვეთა გათავისუფლების შტაბს ვუწევდი კოორდინირებას. ჩემს მეგობრებთან ერთად პრაქტიკულად ხელისუფლების მხრიდან, ყოველგვარი დახმარების გარეშე, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ჩვენ მაშინ არც გარკვეული სტატუსი არ გაგვაჩნდა, მოვახერხეთ, გადავსულიყავით მოწინააღმდეგე მხარეს და დაგვეწყო მოლაპარაკება. ჩვენმა შტაბმა ორ ასეულამდე სამხედრო ტყვე გაათავისუფლა. ფაქტიურად კი სამი ათასამდე მძევლის გათავისუფლება მოხერხდა სეპარატისტთა კლანჭებიდან. დროთა განმავლობაში ომი იმდენად გამწვავდა, რომ მოითხოვდა ყველა ძალის ჩართვას. საჭიროდ ჩავთვალე, იარაღით ხელში თავადაც მიმეღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. ვიბრძოდი როგორც ომის წინა ხაზზე, ასევე მტრის ზურგშიაც. ომი ომია და იყო მომენტები, რომ სიკვდილისთვის თვალებში ჩამიხედავს და რაღაც განგების ძალით გადავრჩენილვარ. იყო ნებაყოფლობითი მძევლობის შემთხვევაც. ვიბრძოდი სოხუმშიც და სხვებთან ერთად გამოვიარე ის ჯოჯოხეთური გზა, რომელიც მოსახლეობამ სვანეთის გავლით გადმოლახა. ახლა უპირველესი პრობლემა დაკარგულის დაბრუნებაა და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მშვიდობიანი გზით მოხდეს, უკიდურეს შემთხვევაში კი იარაღითაც.

**— პარტიას, რომლის გენერალური მდივანიც თქვენ ბრძანდებით, მეტად მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი აკისრია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოკლედ გვიამბეთ იმ გეგმებსა და უახლოეს ამოცანებზე, რომელიც თქვენს წინაშე დგას.**

— რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირის გენერალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივნის მოვალეობის შესრულება უდიდესი პასუხისმგებლობაა. ორგანიზაციამ უნდა გაამართლოს ის ნდობა, რომელიც ხალხმა გამოხატა ჩვენს მიმართ არჩევნების დროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის პარტია და ამიტომაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან. უპირველეს ყოვლისა, ახალი ვითარების შესაბამისად უნდა შევცვალოთ ჩვენი მოქმედების პრინციპები. რაც უმთავრესია, მოქალაქეთა კავშირმა მჭიდრო კონტაქტები უნდა დაამყაროს საპარლამენტო თუ მის გარეთ დარჩენილ პარტიებთან, რათა ერთად წარვმართოთ ქვეყნის აღმშენებლობითი პროცესები. ჩვენი მიზანი და პირდაპირი მოვალეობაა, ქვეყანა დაადგეს დემოკრატიის აღმშენებლობის გზას, ავაღორძინოთ ჩვენი ეკონომიკა, მრეწველობა, ავამაღლოთ ხალხის კეთილდღეობის დონე, მივცეთ მათ შესაძლებლობა თავისი შრომით, ნიჭითა და უნარით გაიუმჯობესონ მდგომარეობა შვილებისა და ოჯახების საკეთილდღეოდ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც შეძლებს დაიცვას თავისი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და სტრუქტურული მთლიანობა.

**— რომელ პარტიას გამოყოფთ, ვისთანაც მეტ-ნაკლებად ახერხებთ კონსტრუქციულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას?**

— პირველ რიგში გამოვყოფ საპარლამენტო პარტიებს, მიუხედავად პოზიციების მეტ-ნაკლებად განსხვავებისა, ეს არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს აღორძინების კავშირი. სხვა პარტიებთან ჩვენ გვაქვს ახალ ვითარებაში ახლებური ურთიერთობები. იმედია, რომ ეს ურთიერთობები გადაიზრდება სერიოზულ თანამშრომლობაში.

**— ადაპტაციის ეტაპმა უკვე განვლო. რა პარალელის გავლება შეგიძლიათ ძველსა და ახალ პარლამენტს შორის?**

— პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლებაა. შესაბამისი უფლება-მოვალეობებით. ეს არის ის სტრუქტურა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ყველაზე უფრო მისაღები კანონების ხარისხიანად და სწრაფად შექმნა. წინა პარლამენტში მეტად ჭრელი სპექტრი იყო. დღეს გამოიკვეთა სამი ძირითადი ძალა, ამის გამო მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა, რაც საკუთრივ პარლამენტის მუშაობას დაეტყო. ამაღლდა მისი ოპერატიულობა და პარლამენტმა უფრო სოლიდური სახე მიიღო.

**— ხომ არ იზიარებთ საკმაოდ გავრცელებულ აზრს ახალი პარლამენტის ერთფეროვნებასა და ინერტულობის თაობაზე? როგორ მიგაჩნიათ, დარჩნენ თუ არა ღირსეულები პარლამენტს მიღმა თუ ყველაფერი კანონზომიერად მოხდა?**

— ვფიქრობ, დღევანდელ პარლამენტში ღირსეული ადამიანები მოღვაწეობენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მის გარეთ დარჩნენ ისეთებიც, რომელთა ყოფნა პარლამენტში არ იქნებოდა ურიგო. არსებობს პოლიტიკური რეალიები, ბრძოლა, როცა რაღაც ძალები იმარჯვებენ და გარკვეულები მარცხდებიან. შეიძლება პარტიაში იყვნენ ღირსეული პიროვნებები, მაგრამ ეს არ არის იმის გარანტია, რომ ესა თუ ის პარტია იმარჯვებს და მისი წევრები წარმოდგენილი იქნებიან პარლამენტში.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ყოველთვის გაწონასწორებული თქვენი საპარლამენტო გამოსვლები, როცა ამა თუ იმ საკითხის გამო პოლემიკა ან დისკუსია იმართება?**

— ემოცია ყველა ნორმალური ადამიანის თვისებაა, მაგრამ ეს არ უნდა დომინირებდეს გამოსვლის დროს. მთავარია, ადამიანმა სინდისის კარნახით ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია, ბუნებრივია, ამას უემოციოდ ვერ გააკეთებს, თუკი წამოჭრილ თემაზე შესტკივა გული.

**— საერთოდ ახალგაზრდობა არის ყველა პერსპექტივის დასაწყისი, მისწრაფება გმირობისაკენ, ლირიკა და რომანტიკა, დიდი გეგმები მომავლისათვის. რა არის იგი თქვენთვის?**

— ახალგაზრდობა ეს არის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც ადამიანს ყველაზე მეტად მართებს სწავლა და გამოცდილების მიღება.

**— თქვენ საზოგადოებაში უკვე საკმაოდ გამოკვეთილი ადგილი გიჭირავთ. როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებთ გზასაცდენილ, ხელმოცარულ და უნიათო ახალგაზრდობის მიმართ, თუ გიფიქრიათ მათ აწმყოსა და მომავალზე?**

— ძალზე საწყენი და დასანანია, როდესაც ნახავ ისეთ ახალგაზრდას, რომელმაც ვერ მოახერხა საკუთარი თავი ეპოვნა ცხოვრებაში. არ არის დაკავებული იმ საქმით, რომელიც მას უყვარს, მოსწონს. ყველა ადამიანს აქვს ღვთით ნაბოძები ნიჭი და უნარი. ოღონდ საჭიროა მისი მიგნება, გამოცნობა, მიმართვა სიკეთისა და სასარგებლო საქმის საკეთებლად.

**— დღეს ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მიემგზავრება, თქვენი აზრით, რა არის ამის ძირითადი მიზეზი და რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამ საკმაოდ მასიურ მიგრაციას?**

— პირველი მიზეზი, ალბათ, ეკონომიკური სიდუხჭირეა, კიდევ შეუცნობელის შეცნობისადმი ლტოლვაა, არის ალბათ ცნობისმოყვარეობაც გარკვეულწილად, საქმიანი ურთიერთობები, ბიზნესი და ა. შ. ყველა შემთხვევაში ჩვენმა სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დაუბრუნდეს სამშობლოს.

**— რას გვეტყვით რუსეთ-საქართველოს დღევანდელ დამოკიდებულებაზე?**

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მრავალ საუკუნეს ითვლის, ამას თავისი სპეციფიკა აქვს. ყოფილა დრო, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უფრო რთული და დაძაბული იყო, ვიდრე დღესაა. მე მაინც იმედით შევყურებ მომავალს და მიმაჩნია, რომ სრულიად შესაძლებელია ამ ორ სუვერენულ ქვეყანას შორის იყოს ცივილიზებული, მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა.

**— თქვენ ყველაზე მწარედ ალბათ თავისუფალი დროის დეფიციტს განიცდით და თუ ზოგჯერ მაინც გამოჩნდება ასეთი დრო, რას ან ვის უთმობთ მას?**

— თავისუფალ დროს მეტწილად ოჯახში ან მეგობრებში ვატარებ: მიყვარს საინტერესო ლიტერატურის კითხვა, სპორტი და მუსიკა.

**— არის თუ არა პიროვნება, რომელიც თქვენი გამორჩეული ყურადღებით სარგებლობს (პოლიტიკოს მამაკაცებს არ ვგულისხმობ).**

— არიან ასეთი პიროვნებები. დედა, ჩემი ძმა, მეგობრები.

**— დაიწყო ახალი წელი, თქვენი აზრით, რას მოუტანს ეს თითოეულ ჩვენგანს?**

**რითი შეგიძლიათ დააიმედოთ ბუდეაყრილი და კერამოშლილი ჩვენივე თანამემამულეები. საბოლოო სიტყვა ახალგაზრდობას ეკუთვნის.**

— მინდა რომ ახალმა წელმა ჩვენს ხალხს სულიერი სიმშვიდე მოუტანოს. ქვეყანას მშვიდობა, წესრიგი და სიუხვე დაებედოს. ყველა ლტოლვილს ვუსურვებდი სამშობლოში დაბრუნებას. დაკარგულებს თავისი ახლობლების პოვნას, ავადმყოფებს გამოჯანმრთელებას. ეს წელი ჩვენი სამშობლოს გამთლიანებისა და აყვავების წელი ყოფილიყოს.

ესაუბრა **ნუნუ კუპრეიშვილი**

# დიდი

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, გელათში ყოფნისას, ისეთ სურათს შევესწარი, დღემდე რომ არ ამომდის მეხსიერებიდან: მოფარებულში, ხელში ანთებული სანთლით მდგარმა, თვალი ვკიდე ახალგაზრდა კაცს, პატარა გოგო-ბიჭისთვის რომ ჩაეკიდა ხელი და აღმაშენებლის საფლავისკენ მოემართებოდა. საფლავის ლოდის შორიახლოს ბავშვები წინ დაიყენა, სანთლები აანთებინა, მერე დაიხარა და უთხრა:

— დაიხსომეთ! აქ დაკრძალულია ყველაზე დიდი ქართველი! — ერთხანს ჩუმად იდგნენ, ქარი სანთლებს უქრობდა, მაგრამ ჯიუტად ანთებდნენ ისევ. მერე გატრიალდნენ და წავიდნენ. გარშემო არავინ იყო. მოშორებით, მონასტრის ფართო ეზოში უთავბოლოდ დაბორიალებდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ექსკურსანტები. გაოგნებული, კარგა ხანს გაუნძრევლად ვიდექი. მაშინ დიდ ქართველად სულ სხვა პიროვნება მოიხსენიებოდა ხოლმე. წლები გავიდა და აი, 1995 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლობას, ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლი გაიხსნა. იმავე დღეს, დილით, გელათში წირვა-ლოცვა აღავლინა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. დავითის საფლავის ლოდი ყვავილებმა დაფარა: „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველთა, წყალობა ჰყავით!" ყველაზე დიდი ქართველის ვედრება ამჯერად აღარ შეისმინეს შთამომავალთ.

გადმოცემით, წმინდა გრაალის რაინდმა ანუ დასავლეთში „იოანე ხუცესად" წოდებულმა დავით აღმაშენებელმა, რომელსაც მეტაძრე-ტამპლიერებთან — ეზოტერული ქრისტიანიზმის ამ წარმომადგენლებთან აკავშირებენ, კოლხური მისტერიების უძველეს ადგილზე — გენათში — აგო „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად" წოდებული დიდებული საყდარი და აკადემია. გადმოცემით, თავადაც მონაწილეობდა თურმე ამ მშენებლობაში, საკუთარი ზურგით მოუტანია უზარმაზარი ქვა, რომლის აწევა მხოლოდ მისებრ გოლიათს თუ შეეძლო!

გენათი! ანუ ადგილი, სადაც მოხდა ნათლობა, ადგილი, რომელიც განათდა ღვთისადმი რწმენით. ცხადია, დიდმა მეფემ უკეთ უწყოდა, სად, რა ადგილას აშენებდა თავის საძვალეს და აკადემიას, ქართველთა განათლების მძლავრ კერად რომ უნდა ქცეულიყო მომავალში.

მრავალ დიდ ქართველთა შორის ერმა გამოარჩია დავით IV — მისი ღვაწლისა და დამსახურების გამო ქვეყნის წინაშე და აღმაშენებელი უწოდა მას.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე დიდმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა, რომლის მსოფლმხედველობაში დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის პრობლემას, ერთ-ერთმა პირველთაგანმა შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შორის პიროვნების წმინდათა წმინდა მოვალეობად მიიჩნია, ემსახურებოდეს თავის ქვეყანას, თავის ერს. ესაა მისი მეოთხე ღვთიური განჩინება, რომლითაც ის ასრულებს ყველა დანარჩენს. ამ მრწამსის უბრწყინვალესი გამტარებელი გახლდათ სწორედ დავით აღმაშენებელი — დიდი ფილოსოფოსის მფარველი და ქომაგი.

დიდი მეფე და მხედართმთავარი სხვა ქვეყნებსაც ჰყოლია, ქვეყნის გამაერთიანებელი მირონცხებულიც არაერთია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ თეოლოგიურ-ფილოსოფიურად ესოდენ განსწავლული და ესოდენ ზნესრული პიროვნება, ალბათ სანთლით თუ დაიძებნება კაცობრიობის განვითარების გრძელ გზა-სავალზე. მისი მარტოდენ „გალობანი სინანულისანი" რად ღირს — ჰიმნოგრაფიის ეს მშვენება. ფილოსოფიური განსჯით, ადამიანის ზოგადსაკაცობრიო ცოდვა-მადლის გრძნობის ასახვის თავისებურებითა და ექსპრესიულობით, ცოდვის განცდის სიძლიერით — ეს განსაცვიფრებელი ნაწარმოები მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, არ ჩამოუვარდება მსოფლიო ლიტერატურის არცერთ შედევრს, მათ შორის დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიას".

ქართული რენესანსის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა არა მარტო ქრისტიანულ კულტურას, არამედ ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ ფრიად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც, თუმცა საქართველო მე-11-12 საუკუნეებში მთელს აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველად გამოდიოდა, თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში შეუდრეკელად იცავდა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პრინციპს მაშინ, როდესაც ივ. ჯავახიშვილის თქმით, თავად მრავალი უსამართლობა, დევნა და შევიწროება გადაუტანია მაჰმადიანური ქვეყნებისაგან. საყოველთაოდ ცნობილია დავით აღმაშენებლის რჯულთშემწყნარებლობა. გარდა იმისა, რომ შესანიშნავად იცოდა არაბულ-სპარსული ენები, ყურანის დიდი მცოდნეც ყოფილა.

დიდბუნებოვნებას და ქრისტიანულ შემწყნარებლობას ხელი არ შეუშლია დავით აღმაშენებლისათვის მრისხანე და დაუნდობელი ყოფილიყო იმის მიმართ, ვინც თავისი ციდამტკავლური აზროვნებითა და ვერცხლისმოყვარეობით ერის საზიანოდ ირჯებოდა, ვინც დაუძლურებულ, თურქთაგან მოოხრებულ, დაქსაქსულ ქვეყანაში, ფუჭი სახელისა და დიდებისათვის არავის ინდობდა.

დავითის მტკიცე პოლიტიკისა და მის მიერ შექმნილი მსტოვართა ქსელის მეშვეობით მრავალი ურჩი და მოღალატე „განპატიჟებულ იყუნეს და მხილებულ ესე ვითართათვის".

დავითი თანდათან, ეტაპობრივად შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას, თურქების განდევნას და საქართველოს საბოლოო გაერთიანებისათვის ზრუნვას. მუდმივი ჯარის შექმნა, ორმოცი ათასი ყივჩაღის ჩამოსახლება დედაწულიანად — მისი შორს გამჭვრეტი სახელმწიფო გეგმის განსახორციელებლად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, დიდი გიორგი მთაწმინდელის მიერ მომზადებულ ნიადაგზე ქართული ეკლესიის წესწყობილების შეცვლა იმ მხრივ, რომ ადამიანის პირად ღირსებას სათანადო უფლება მინიჭებოდა, ანუ წოდებრიობის უპირატესობის მოსპობა ეკლესიაში და პირადი ღირსების მიხედვით მღვდელმთავართა არჩევა, „ქუაბ-ავაზაკთაგან" ეკლესიის განწმენდა, ამასთან სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მემკ-

# ქუთაისში

ვიღრეობით მოხელეთა თვითნებობის და ურჩობის ალაგმვა, სასამართლოს უზენაესი საფეხურის მართვა-გამგეობისაგან განცალკევება და განსაკუთრებულ დაწესებულებად ქცევა, რაც ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირსებად მიაჩნიათ ისტორიკოსებს — ყოველივე ამას დასჭირდა ოცდაცამეტი წელი. თავისი მუდმივი ჯარის მეშვეობით, რომლის შექმნისთვისაც ადვილი წარმოსადგენია, რა წყევლა-კრულვის და ლანძღვა-გინების ობიექტი იქნებოდა დიდი მეფე, ქედფიცხელ და დიდგვარიან მოხელეებს მოუსპო შეთქმულების საშუალება: „არა ოდეს მოაცილა ამისდა განზრახვად... ანუ შეკრებად ერთად და ქმნად რასამე ესე ვითარისა“.

საუკუნეთა სიღრმიდან ღვთაებრივი შარავანდედით შემოსილი შემოგვცქერის გიორგი ჭყონდიდელის — დავით აღმაშენებლის სულიერი მამისა და გამზრდელის ფიგურა. ლაშქრობებში ჯვარით ხელში თან ახლდა მეფეს და მასთან ერთად თავდაუზოგავად ილვწოდა ქვეყნის ასაღორძინებლად, მისი ძლიერებისა და დიდებისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის სულიერ მამად, მის თანამზრახველად და თანამოაზრედ გვევლინება სწორედ გიორგი ჭყონდიდელი — მარტვილის ეკლესიის წინამძღვარი, დიდი მთაწმინდელების სულიერი მემკვიდრე. სწორედ გიორგი ჭყონდიდელის თანადგომითა და თანამზრახველობით შეძლო დავით აღმაშენებელმა გაეტარებინა ის დემოკრატიული რეფორმები, რისი განხორციელებაც თავის დროზე სცადა გიორგი მთაწმინდელმა.

მემატიანის თქმით, დავით აღმაშენებელი ქველმოქმედებას სახელმწიფო საჭურჭლიდან აღებული ფულით კი არ ეწეოდა, „არამედ ხელთა თვისთა ნადირებულითა“, ანუ საკუთარი შრომით შეძენილი ქონებიდანო.

და მაინც, დავით მეფეს მთელი თავისი ცხოვრება თურმე სიჭაბუკის რაღაც ბრალის თუ ცოდვის მონანიებაში გაუტარებია,

„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო? მიუტევები? ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს? გასწიე იგი „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“. თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით? თუ ცოდვილი ხარ, მაშინ მეფეო, რაღა ჰქნან ცოდვილთ, სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მპოველთა?“...

დავით აღმაშენებლის მსგავს პიროვნებათა ბიოგრაფიაში საძებნელია არა რაიმე პირადი მძიმე შეცოდება, არამედ ჩადენილი ცოდვათა შეგნების არაჩვეულებრივი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი, რითაც დიდბუნებოვანი და ზნესრული ადამიანი გამოირჩევა დანარჩენთაგან.

... დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნაზე ზღვა ხალხმა მოიყარა თავი.

ყველას უნდოდა ერწმუნა, რომ ქალაქში შემობრძანდა არა ოდენ ცხენზე ამხედრებული მეფის ბრინჯაოს ფიგურა, ერთ ხელში რომ ტაძარი უპყრია და მეორეში — ხმალი, არამედ შემოვიდა დიადი სული დავითისა და ამ სულმა მოიცვა მთელი ქუთაისი, სრულიად საქართველო, დაივანა თითოეული ადამიანის გულში არა ზედაპირული, ზერელე აღტკინებით, როგორსაც ჩვეული ვართ ხოლმე ხშირად, არამედ ყოვლისმომცველი ღრმა განცდით, უშინაგანესი მრწამსით. დიახ, ქალაქში დადიოდა სული ნადიდგორალი, სული მეომრული, ქვეყნისთვის თავდადებული, უანგარო, წრფელი, გულმოწყალე, ურთიერთშემნდობი და მიმტევებელი და იგი, ეს სული უხილავი ძალით სდევნიდა და ერეკებოდა ქალაქიდან, ყოველი ადამიანის გულიდან შხამის, შუღლის, მტრობის, ბოღმის, სიძულვილის ეშმაკისეულ განცდას, ასე ძლიერად რომ გაუდგამს ფესვი ჩვენს ყოფიერებაში.

... ჯვართამაღლების დღეს, 27 სექტემბერს მიცვალებულთა დღეც რომ არის ამავე დროს, საგანგებოდ გამოიდარა თითქოს, ისევე როგორც ღვთისმშობლობას. კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ბაგრატის ტაძარში აღავლინა წირვა-ლოცვა. თითქოს სიმბოლური იყო გუმბათჩამოქცეულ ტაძარში უფლის სადიდებელი ლოცვა-გალობის მოსმენა. მზის სხივებში ცურავდა საკურთხეველი და კედლებზე ჩამოკიდებული ხატები.

ლოცვასავით გაისმა ტაძრის რესტავრაციის ერთ-ერთი ავტორის სოსო ბანძელაძის სიტყვები, ტაძარი უნდა აღდგეს, უსათუოდ უნდა აღდგეს, ვით ნიშანი ქვეყნის ფენიქსებრ განახლებისაო. რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო. ეს სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი, თანამოძმეთა და სრულიად საქართველოს მიმართ ამოძრავებდა ქუთათურებს, ქალაქის მერიას და მის თავკაცს, თემურ შაშიაშვილს, როცა ამ ძნელბედობის ჟამს ხალხისათვის სადღესასწაულო განწყობის შექმნის გარდა, ყველაზე დიდი ქართველის დავით აღმაშენებლის სულის შემობრძანება აზეიმა მთელ ქვეყანას, მის მრავალრიცხოვან სტუმრებს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს, რომელთაც თავის თვალით უნდა ეხილათ, რომ საქართველო ყაჩაღებისა და ტერორისტების, ბანდიტებისა და მაფიოზების ქვეყანა კი არ არის მხოლოდ, არამედ იგი დიდი კოლხ-იბერიული კულტურის მემკვიდრეა, რომლის ფესვები ათასწლეულებშია გადგმული.

დავითის სული ზეობდა ყველა იმ ღონისძიებაში, ქალაქში რომ ჩატარდა. დიდი წინაპრის მიმართ ეს საყოველთაო თაყვანება იყო ნიშანი ყველაზე დიდი ქართველის უკვდავებისა და ის ცეცხლიც — პატარების მიერ სცენაზე დანთებული ფოლკლორის განახლებულ მუზეუმში — ნიშანი, რომ არ გადაჯიშებულა, არ გადაგვარებულა დავითის მოდგმა, მისი გენი, ჯიში და ჯილაგი, რომ კვლავაც დაიზრდებიან ბოკვრები — დავითის და თამარის სისხლის ნაშიერნი, მათი სულის თანაზიარნი...

იმ ღირსახსოვარ დღეებში ქუთაისში იყო ღიმილიანი, ნათელი სახეების სიმრავლე, კეთილგანწყობა და თავაზიანობა ურთიერთის და საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულთა მიმართ, სახელგანთქმული ზრდილობა „გმირი იმერისა“...

თითქოს რაღაც კირთება, მძიმე ლოდი გადაიგდო ხალხმა გულიდან და ალალად, გულწრფელად შეეგება ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს, საწინდრად რომ უნდა იქცეს უკეთესი მერმისისა.

**ციალა არდაშელია**

# ერთი შეკითხვა ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს

**შეიქმნა ახალი პარლამენტი, გარეთდარჩენილ ოპოზიციონერთა უმრავლესობამ შექმნა ახალი „ექსპარლამენტი“, რა ხდება? თქვენ რომელ პარლამენტს ანიჭებთ უპირატესობას? ძველს თუ ახალს? ან ეს „ექსპარლამენტი“ რაღაა?**

დიახ, შეიქმნა ახალი პარლამენტი, უფრო სწორად, ხალხმა თავისი პარლამენტი აირჩია, პარლამენტის უმრავლესობა პრეზიდენტის კურსის გამზიარებელია, როგორც იტყვიან, პრეზიდენტის გუნდში არიან. 17 იანვარს, ღამით, ტელევიზიამ უჩვენა „ექსპარლამენტის“ წევრები. ჩემი ადრე ნათქვამი ბოლომდე გამართლდა, ზვიადისტებმა კვლავ მონახეს ერთმანეთი და გუგულებივით ერთად სხედან, ერთ „მრგვალ მაგიდასთან“. მათ დიდი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ამ საერთოს „პატივმოყვარეთა ახირება“ ჰქვია, მიეცი თითოეულს თანამდებობა და გაგიხარია, შენკენ გადმოვლენ... გახედეთ, რა ხდება რუსეთში. სტალინს ვინც ებრძოდა, ყველა ერთადაა და სტალინიზმის დროშით მოითხოვენ საბჭოთა კავშირის აღდგენას, მე ყოველთვის მჯეროდა, ერთმანეთის „მოძულე“ ბოჭორიშვილი, ნათაძე, წერეთელი, ჯაველიძე, ხოშტარია, ჩხეიძე, და სხვანი კვლავაც ერთმანეთს შეიყვარებდნენ.

მთელ ამ პოლიტიკურ სიბნელეში, ერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა, — მუხრან მაჭავარიანი მიხვდა, რომ არაა საკადრისი წკვარამში ჯდომა, მიხვდა და გადგა, რაც მე პირადად განსაკუთრებით მიხარია. ახლა, როგორც გავიგე, პეტრიაშვილი აპირებს ჩამოსვლას, ერთ კარგ „მედოლესაც“ იშოვნიან და მიდი, შეუბერე მიტინგები, მიტინგებს გენერალი დემურ მიქაძე, რაღა თქმა უნდა, გამჭრიახი თვალით გახედავს და ვიღაც-ვიღაცეებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებენ.

თუ მე მკითხავენ, ახლავე უნდა დააჩქარონ მიტინგები. ახლავე უნდა აურიონ, სანამ ცივა და ბნელა, თორემ, როცა დათბება და ალბათ, სინათლეც გვექნება, ნამეტანი სააშკარაოზე გამოვლენ...

გულახდილად გეტყვით, ბევრმა გული დამწყვიტა (ვინც არ მოხვდა პარლამენტში), მე პატივს ვცემდი „ტრადიციონალისტთა“ წარმომადგენლებს, მათთან საერთოს გამონახვა ყოველთვის შეიძლება. კარგია, რომ ე.დ.პ.-მ გაიმარჯვა, იქაც საინტერესო ხალხია.

თუმცა, ერთიც მინდა ვთქვა, — ძველ პარლამენტში მისვლა სხვანაირად მიხაროდა, აი, ისე, როგორც ბავშვობაში ცირკში მიხაროდა წასვლა.

ძველ პარლამენტში, დაახლოებით ათი ტაკიმასხარა მაინც იყო, რომელთა ქმედება ჩემში სიცილს იწვევდა, რაიც მთელი კვირა მყოფნიდა. დღეს, ნამეტანი სერიოზული და დაკვირვებული პარლამენტია, ალბათ, ქვეყნისთვის ასე სჯობს, მაგრამ სიხარული ძველში მეტი იყო.

მე ყოველმხრივ მჯერა, რომ ძველი, ამ ხუთი-ექვსი წლის წინანდელი შიზოიდური ეიფორია წყალმა წაიღო, თუ ვივაჟკაცებთ და ხალხს სინათლესა და სითბოს მივცემთ, თუ ვივაჟკაცებთ და ხალხს ხელფასებს მოვუმატებთ, „ექსპარლამენტი“ განაწყენდება, მაგრამ ქვეყანა ამოისუნთქავს.

მე მჯერა, რომ 1996 წელი ბოლომდე შერიგების წელი იქნება, ჩვენი ერთობისა და შრომის სიყვარულისა და მიმტევებლობის.

სასაცილოა „ექსპარლამენტი“, მაგრამ ყველაფერი უცნაური ხომ ჩვენთან უნდა მოხდეს?









გურამ ბედოშვილი

# ორი ეტიუდი



## ნენე

მთის ფერდობზე შეფენილი პატარა ზემოაჭარული სოფელი. მსუყე სიმწვანეში ნებივრად თვლემს შემოგარენი. თხელი, გაცრეცილი ნისლის კელფები აფენია უცნაური ერთფეროვნებით ამოწვერილ-ამოზურგულ მომცრო მთებსა და წიწვნარით ჩამუქებულ ქედებს. სტუმარი ვარ, მაგრამ ყველაფერი რატომღაც პირქუშად, უნდოდაც კი მიყურებს. ჯიუტად მივიწევ ფერდობზე ჩამოწოლილი ტყისაკენ, მინდა ყველაფერს ხელი შევახო, მოვესიყვარულო, იქნებ აქაობა როგორმე გამიშინაურდეს.

სოფლის ორღობეებში სულიერი არავინ ჭაჭანებს; თითქოს ძილღვიძილში ჩაფლულა ყველა და ყველაფერი. აქა-იქ სოკოებივით ამოწვერილან ხის ბოკონებსა და ყორე-კედლებზე დაშენებული ფიცრული ოდა-სახლები. მეჩვენება, თითქოს ისინიც უნდოდ მიმზერენ სათოფურისხელა ფანჯრებიდან.

უცებ, როგორც ეკრანზე, მახლობელი სერიდან, ტყისპირას, ხანდაზმული ქალი გამოჩნდა, ხმელ ფიჩხის კონას რის ვაი-ვაგლახით მოათრევდა. ქალს თავზე და მხრებზე თეთრი ჩადრი ებურა, შუბლზე ვიწრო ზოლად მოუჩანდა შავი თავსაკრავი. სულ მალე მეზობელი სახლის აივანზე კიდევ ორი ქალი გამოჩნდა, ისინიც თეთრ ჩადრებში მოსილნი, ისეთივე ვიწროზოლიანი შავი თავსაკრავებით. ჩემს დანახვაზე ჩადრიანი ქალები აშკარად შეცბნენ და სოფლის თვალისათვის უცხოს, სახე ამარიდეს, ზურგით დამიდგნენ. ვიგრძენი, გული როგორ შემეკუმშა, სისხლი გამეყინა, ირგვლივ კი ყოველივე გაცივდა, გაუცხოვდა. თვალი უნებურად ფერდობისკენ გამექცა. მოხუცი ქალი კვლავ ფიჩხის კონასთან იდგა, უცხო, თეთრ ქანდაკად ქცეული.

... ღმერთო, ღმერთო! როგორი მძიმე და აუტანელია სისხლისმიერთა ეს უცხოობა!..

და უცებ — როგორც მშობლიურ სოფელში — ბავშვის წკრიალა ძახილი:

— დეე!

ისმის გაუბედავად, ცრემლიანი, გაბზარული ხმით, მერე მეორედ, უფრო გაბედულად:

— დე-ე-დი!

... მყისიერად ამოძრავდა, ახმაურდა მთელი სოფელი! საამოდ აშრიალდნენ აქამდე უბრად მდგარი ხეები, ამოძრავდნენ მანამდე ერთ ადგილას გარინდებული ღრუბლები, ხევიდან გარკვევით შემომესმა წამის წინ გაცოცხლებული ტალღების ხალისიანი სრბოლა-დგაფუნი. აივანზე მდგომი ქალებიც გამორკვეულიყვნენ, პირზე ხელმორკალვით უძახოდნენ დედას მონატრებულ ბავშვს:

— მოვა, ჰამიდა, შენი ნენე, მოვა!..

... ხალისიანად ანათებდა წუთის წინ ღრუბლებიდან გამოჭიატებული ცხრათვალა მზე!..

## მთიულეთს ვიყავ...

გვიანი შემოდგომის პირია. მე — მთიულური ლექსიკის შესაკრებად ჩასული კაცი — და ჩემი მასპინძელი ქვა-ღორღით სავსე ორღობეს მივუყვებით. ტყვიისფერი უხალისო ცა ქედებზეა ჩამომხობილი. წვრილად, მაგრამ ჟინიანად, გულდაგულ ცრის. ცივა. ალბათ ეს ირიბად ჩამოსული სისველე ამაღამ თოვლად იქცევა და დილით ეზოში გამოსულს გადათეთრებული არემარე უმანკო სიწმინდით შემომანათებს.

— მთა ეშმაკიანია, — ყრუდ ამბობს წინ მიმავალი მასპინძელი, — შენ კი ქარქლადა ხარ ამოსული, ქალაქურადა.

— რა ვიცი, — დამნაშავესავით ვიჩეჩავ მხრებს, — თბილისში ისეთი დარი იდგა, ვერც ვიფიქრებდი, თოვაში თუ მოვხვდებოდი.

მერე ღიმილით ვამატებ:

— ღმერთმანი, თქვენ რომ არა, ამაღამ კანტორაში სიცივით სული ამომხდებოდა. თანაც მარტოდ ყოფნა.

— მარტოკას კი ვინ დაგაგდებდა, ან დარაჯი იქნებოდა, ან სხო ვინმე; სოფელია, დუნია ხალხი მიდ-მოდის.

— რა ვიცი, აბა!

მოვედით. ეზოში შესულებს ახალმა, რვათვლიანმა სახლმა შემოგვცინა. თავმოწონებაზე ნაგები სახლია, ორსართულიანი, დაბლა ოთხი ოთახია, ოთხი სასტუმროდ, ზემოთ. უცხოდ გაწყობილ დიდ ოთახში ბუხარი გუგუნებს. აქეთ-იქიდან ვუსხდებით და ცეცხლს ვეფაფრებით. სითბო ლაპარაკის საღერღელს გვიშლის. ვსხედვართ ცეცხლისკენ წახრილები და ათას რამეზე ვმუსაიფობთ.

... სასტუმრო მაგიდა თვალსა და ხელს შუა ივსება, ხვავრიელდება. ცქვიტად, ხალისიანი ღიმილით მიდი-მოდის ოჯახის დიასახლისი, ლაზათიანად, უხმაუროდ ალაგებს ხორცით, მწნილით, ყველითა და ტკბილეულით სავსე თეფშებს, ბადიებს.

ცხელმა წვენმა და შინნახადმა არაყმა ოჯახში მზე შემოახედა, მასპინძელი ღიმილად იღვრება.

— ამითი, — ჭიქას მაღლა ეწევა, — იმ კაცის დღეგრძელობა იყოს, ვისაც თავისი ქოყანა, თავისი პატარა საქართველო, მშიერ-მწყურვალსაც გულს აბია!..

— ღმერთმა გაუმარჯოს! — ვამბობ მეც და სასმისს სანახევროდ ვცლი.

— ეს ბოლომდე ისმევა!.. — ზედაც არ მიყურებს, ისე ამბობს მასპინძელი.

— მაგარი არაყია, ბატონო გიგო!

— თაოდ ბატონო! მიდი, შენ აუწი, აუწი!..

— ოჰ, — მაგიდაზე ხმაურით ვდგამ ჭიქას — ჟიპიტაური და ასე მაგარი?

— იცის მზორთვაკის პანტამა და! — თავს იწონებს სახემოცინარი მასპინძელი.

შემომატებულმა ცხელმა ხინკალმა სუფრა გაგვიხალისა.

— აბა, სანამ ცხელია, მიირთვი!

— ოჰ, დაგელოცა მომგონი! — თეფშზე ხელის ცეცებით გადამაქვს ქაფქაფა ხინკალი და თან წამწვარ თითებს სულის ბერვით ვიგრილებ.

— მართლა ქალაქელი ხარ, ხო იცი! გაბედვით უნდა გადაილო, გაბედვით! — თქვა და ისე ლაზათიანად დაილაგა წინ სამი-ოთხი ცალი ცხელი ხინკალი, საკუთარი უმწეობისა შემრცხვა.

— თუ შეიძლება, ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი!

— არა, წესს ნუ გადავალთ! — ჩუმად დაილაპარაკა გიგუამ და პირთამდე სავსე ჭიქა ხინკლით სავსე თეფშზე ფრთხილად მიატარ-მოატარა, ორი-სამი წვეთი დააგდო:

— ჩვენი წასულების შესანდობარი იყოს! ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს!..

— ამინ!

— ეს ჭიქაც ბოლომდე იცლება! — ყრუდ ჩაილაპარაკა გიგუამ, ჩემს სასმისს რომ შეავლო თვალი.

კარმა გაიჭრიალა და ოთახში მომღიმარი დიასახლისი გამოჩნდა, ლაზათიანად მოჰქონდა ცხელი ხინკლით სავსე მომცრო ხონჩა. მოვიდა, ხინკალი მაგიდაზე კრძალვით დადგა და გაუბედავი, ჩუმი ხმით დაილაპარაკა:

— ვაი თუ ჩვენებური ხინკალი დაგვიწუნოს სტუმარმა.

— აბა, რას ბრძანებთ, — ფეხზე ვდგები, თან რატომღაც ვღელავ, — უგემრიელესი ხინკალია, უგემრიელესი... ქალაქში ამისთანას ვერც ნახავ! — ვამბობ რაღაცას, მაგრამ საკუთარი ხმაც აღარ მესმის. მერე ჭიქას ვიღებ და გიგუას სახეში შევცინი:

— ამით ჩვენს დიასახლისს გაუმარჯოს!

გიგუამ წარბებქვემოდან ამომხედა:

— თამადობას მართმევ, ჰა?..

— როგორ გეკადრებათ!.. მე უბრალოდ ოჯახის დედის, ჩვენი დიასახლისის სადღეგრძე...

გიგუამ მეუღლისკენ შეაბრუნა თავი:

— შენ ისევ აქ თუ ხარ?..

ვიგრძენი, რაღაც შემეშალა, რაღაც ისეთი ვთქვი, და თან ისეთ დროს, ჩემთან სტუმრადმოსული გიგუა ნამდვილად რომ არ იტყოდა. გუნება წამიხდა. ისევ გიგუას ბუბუნა ხმამ გამომაფხიზლა:

— მოდი, აემ ჭიქით ჩვენ გაგვიმარჯოს, კაცებსა! აესე ორთავეს ერთად გაგვიმარჯოს...

— გაგვიმარჯოს! — ვთქვი და სასმისი ბოლომდე გამოვცალე.

გიგუას ჭიქა არ დაუცლია, მაგრამ შევატყვე, წელანდელი წყენა-გაბრაზებისა ცოტა რამ თუ ეტყობოდა. ერთი-ორი სასმისის შემდეგ მასპინძელმა სიმღერის წამოწყება სცადა:

მთიულეთია, ძმობილო,
განა შირაქის ველია!

წამოიმღერებს, მცირე ხანს გაყუჩდება, მერე ისევ იმეორებს ერთსადაიმავე ნაწყვეტს. მე რაღაცას ვცოდვილობ, მინდა ხმა შევუწყო. პირველ ხანს არაფერი გამოდის: ის მთიულეთშია, მე — შირაქის ველზე!..

კარებში კვლავ გამოჩნდა დიასახლისი. მას ცალ ხელში არყიანი ბოთლი უჭირავს, მეორეთი ლამის იატაკზე წამოქცეულ ოთხი-ხუთი წლის ბიჭს მოათრევს, თან ღიმილით, მაგრამ მწყრალი ხმით ჩასძახის:

— დადექ, დაფახდი, შე ყროლო შენა! განა კი ვინმე წაგართმევს მაგ შენ მამასა!..

გიგუა ნეტარებს, იბადრება, მის წინ მუხლებთან უბრად ალურსულ ბიჭს ხინკალს აწვდის, მერე თავს გვერდზე აგდებს და თვალებმოხუჭული ნეტარებით მღერის:

ჩავხედე სალომეს უბე-ში-ი-ი,
დილაოვ-ნანინა, ოოო!..

სიმღერა აშკარად არ გამოსდის, მაგრამ შემთვრალი გიგუა იხტიბარს არ იტეხს და კვლავ თავგადაკლული მღერის აკვიატებულ ფრაზას.

მეც მისკენ ვიხრები, მინდა ხმა შევაშველო, სიმღერა სიმღერას დავამსგავსო:

ჩავ-ხე-დე სალომეს უ-ბე-ში,
დილა-ოვ-ნანინა. ჰოი!..

მასპინძელი უცებ ჩერდება, მონუსხულივით მიყურებს და ღმერთმანი, სრულიად გამოფხიზლებული, პირში მვარდება:

— შენ ნუ, ე! მე ჩემ ცოლზედა ვმღერი!..

**XIX-XX** საუკუნეების საიუველირო ხელოვნების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფაბერჟეს სახელთან.

ამ სახელგანთქმული გვარის წინაპრებმა, ფრანგმა ჰუგენოტებმა ჯერ კიდევ 1985 წელს დატოვეს საფრანგეთი და გერმანიაში გადაიხვეწნენ, იქიდან კი ესტონეთის პატარა ქალაქ პერნაუში დასახლდნენ. სწორედ მათმა შთამომავალმა გუსტავ ფაბერჟემ 1842 წელს პეტერბურგში დააარსა და დაიწყო საიუველირო ბიზნესი. მოგვიანებით მამის საქმიანობა განაგრძო კარლ ფაბერჟემ, რომელმაც განათლება მიიღო გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში. პეტერბურგში დაბრუნებისთანავე წარმოების გაფართოების მიზნით კარლ ფაბერჟემ შეიძინა უზარმაზარი გოთური შენობა.

**XX** საუკუნის დასაწყისში ფირმაში მოღვაწეობდნენ 500-მდე მხატვარი და ხელოსანი. საოცარი მრავალფეროვნებით და უბადლო შესრულების ხარისხით გამოირჩეოდა ფირმის პროდუქცია: სამკაულები, ვერცხლის ჭურჭელი, სააღდგომო კვერცხები.

კარლ ფაბერჟეს შემუშავებული ჰქონდა მუშაობის ძალზე საინტერესო სისტემა. შენობას, რომელშიც თავმოყრილი იყო ფაბერჟეს პირადი აპარტამენტები, მაღაზიები და სახელოსნოები, აგრეთვე სახელოსნოებსაც, რომლებსაც ცალკეული ოქრომჭედლები და ოსტატები ქირაობდნენ, თავის მხრივ, ფაბერჟე აწვდიდა უმაღლესი ხარისხის მასალას და დასრულებულ ესკიზებს, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო მომავალი პროდუქცია. ცნობილია, რომ ფაბერჟე ესწრებოდა თითოეული ნივთის შექმნის ყველა ეტაპს. მისი ოთხივე ვაჟიც აქ მოღვაწეობდა.

ფირმის გაძლიერებას თან მოჰყვა ახალი ფილიალები მოსკოვში, კიევში, ოდესაში და ლონდონში.

ფაბერჟეს ფირმა თითქმის მთლიანად რუსეთის სამეფო კარის დაკვეთებს ასრულებდა. იმპერატორის ოჯახისათვის შექმნილი სააღდგომო კვერცხები, სამართლიანადაა აღიარებული ფაბერჟეს ფირმის მარგალიტად. ამ შედევრებში აისახა ფაბერჟეს მხატვრული კრედო.

სააღდგომო კვერცხების ისტორიული საწყისები კარგად არის ცნობილი. ჯერ კიდევ ადრინდელ ქრისტიანულ ეპოქაში კვერცხის ფორმა, მისი ჰარმონიული მოხაზულობა ოდითგანვე მხატვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაბერჟე

ხელოვნება

ნინო გედევანიშვილი

და იუველირების მიერ აბსოლუტურ ფორმად იყო აღიარებული. XVIII საუკუნის ევროპაში იქმნებოდა შესანიშნავი ნივთები; რომლებსაც კვერცხის ფორმა ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი ნაკეთობა იყო 1770 წელს ჟან-ჟაკ დიუვის მიერ შესრულებული კვერცხის ფორმის ავგაროზი, რომელიც ფაბერჟესათვის შთაგონების წყაროდ იქცა.

ფაბერჟეს მიერ შექმნილ სააღდგომო კვერცხების სერიას, რომელსაც ფირმა ოცდაათ წელიწადს ქმნიდა, მსოფლიოს გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში ანალოგია არა აქვს. სწორედ ამ ნაკეთობებმა გაითქვა სახელი მთელ მსოფლიოში და ფაბერჟეს საგვარეულოს დაუმკვიდრა ადგილი ისტორიაში.

იმპერატორის ოჯახისათვის შექმნილი სააღდგომო კვერცხების უმეტესობა შესრულებულია გენიალური რუსი იუველირის მიხეილ პერშინის მიერ, სხვადასხვა დიზაინერთა ესკიზების მიხედვით. პირველი კვერცხი შეიქმნა 1885 წელს. იგი აღდგომას მეფე ალექსანდრე მესამემ უბოძა თავის მეუღლეს.

აღსანიშნავია, რომ ფაბერჟეს მიერ შექმნილი ყველა სააღდგომო კვერცხი შთაგონებული იყო სხვადასხვა ეპოქის მხატვრული სტილით. ასე, მაგალითად, 1894 წელს შექმნილი რენესანსული კვერცხი (იუველირი პერშინი) შთაგონებული იყო განთქმული ლერუას ზარდახშით. ფაბერჟეს ნივთების ღრმა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კარლ ფაბერჟე ისტორიციზმისა და ეკლექტიზმის ეპოქის წარმომადგენელია. თავისი თანამედროვეებისაგან განსხვავებით, რომელთა ნიმუშებს ძნელად გაარჩევდით რენესანსის ან უფრო ადრინდელი ეპოქის ნივთებისაგან, ფაბერჟეს ნაკეთობები გამოირჩეოდა მკვეთრი ინდივიდუალობით. ის ცდილობდა ნივთის თითოეულ ნაწილში განსაკუთრებული დეტალი ჩაექსოვა. სწორედ ეს გახდა საბაბი ფაბერჟეს თანამედროვე კრიტიკოსებისათვის ზედმეტი ეკლექტურობა დაეწამებინათ მისთვის.

XIX საუკუნის მიწურულს ფაბერჟეს პროდუქციის მხატვრული სტილის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია „მირ ისკუტოვოს" მხატვართა შემოქმედებამ. ამ გაერთიანებაში შევიდნენ ისეთი შესანიშნავი მხატვრები როგორებიც იყვნენ ბაკსტი, ბენუა, კუსტოდიევი, ცნობილია ბენუას ესკიზი, რომლის მიხედვითაცაა შექმნილი ფაბერჟეს ფირმის ე. წ. სვეტებიანი სააღდგომო კვერცხი.

სააღდგომო კვერცხებს უმთავრესად საჩუქრის დანიშნულება ჰქონდა, ამიტომაც მათში ყოველთვის რაღაც სიურპრიზი იმალებოდა. თავიდან სიურპრიზი მინიატურული კვერცხი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ სიურპრიზებმა საკმაოდ სერიოზული სახე შეიძინა.

ამ სერიიდან, ალბათ, ყველაზე საინტერესო ნიკოლოზ II მეფედ კურთხევის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ე. წ. კორონაციის სააღდგომო კვერცხია, პერშინისა და ვინგსტრომის მიერ შესრულებულ ამ მშვენიერ კვერცხში, რომელიც გარედან საოცარი ვირტუოზულობითა და გემოვნებით არის მორთული, მოთავსებული იყო ნამდვილი სამეფო ეტლის მინიატურული მოდელი. ამ საოცრებას ფაბერჟეს განთქმული ოქრომჭედელი ჯორჯ სტეინი თხუთმეტ თვეს მოუნდა და მასალად გამოიყენა უმაღლესი ხარისხის ოქრო, ბრილიანტები, წითელი მინანქარი, ლალები, აგრეთვე ბროლი, რომლისგანაც ეტლის ფანჯრები და კიბეებია დამზადებული.

1903 წელს ფაბერჟემ ლონდონში გააგზავნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო იუველირი ალან ბოვის ძმა არტური, რომელსაც დაევალა ლონდონში ფაბერჟეს მაღაზიის გახსნა. ფირმის პროდუქციამ ლონდონში თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. უკვე 1991 წლიდან ლონდონის მაღაზია ერთ-ერთ პრესტიჟულ ქუჩაზე, ნიუბონდ სტრიტზე გადავიდა. ამ დროიდან ბოვის ცვლის ბეინბრიჯი. მისი მმართველობის დროს მაღაზია საგრძნობლად გაძლიერდა და გამდიდრდა. ბეინბრიჯის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ვაჭრობისათვის ყველაზე პროდუქტიული პერიოდი, აღდგომისა და შობის დღესასწაულები იყო, აგრეთვე, ე. წ. ფრანგული სეზონები, რომლის დროსაც საგანგებოდ შერჩეული ნიმუშები ლონდონიდან პარიზში, ნიცაში, ვენაში მიჰქონდათ.

მაღაზიის გაძლიერება-გამდიდრებას თან მოჰყვა ლტოლვა დამოუკიდებლობისკენ, ინგლისელებმა მოინდომეს ფაბერჟეს ნივთების გაყიდვა საკუთარი სავაჭრო ნიშნით. ამ თავხედობამ ფაბერჟეს სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, საქმე სასამართლომდეც მივიდა.

ინგლისში ფაბერჟეს ხელოვნების პრესტიჟულობასა და ელიტარობაზე მეტყველებს ლონდონის ფაბერჟეს მაღაზიის საბუღალტრო წიგნის ჩანაწერები. ამ წიგნში მაღაზიის კლიენტურის სიას ხსნის ინგლისის მეფე მისი აღმატებულება ედუარდ II და მისი მეუღლე ალექსანდრა. გარდა ამისა, ლონდონის ფილიალის კლიენტები იყვნენ იმ ეპოქის ინგლისის მაღალი საზოგადოების ყველაზე მდიდარი და განთქმული წევრები. ერთ-ერთი ასეთი რეგულარული კლიენტი იყო ბარონ ლეოპოლდ როტშილდი. ცნობილია, რომ მან გეორგ V-ს მეფედ კურთხევის დღესასწაულისათვის ლონდონის ფაბერჟეს მაღაზიას შეუკვეთა უძვირფასესი ლარნაკი, რომელიც თავისივე ბაღში დაკრეფილი ორიდეებით აავსო და მეფე-დედოფალს მიართვა.

1915 წელს მეფე ნიკოლოზ II გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც უცხოეთში არსებული ყველა რუსი მოქალაქის კაპიტალი უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში. ეს რადიკალიზმი პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული მძიმე მატერიალური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. ამიტომაც 1915 წელს ლონდონის ფაბერჟეს ფირმა ოფიციალურად დაიხურა. არაოფიციალურად კი ბეინბრიჯი კიდევ ორ წელიწადს აგრძელებდა ამ ბიზნესს.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ კარლ ფაბერჟემ ინგლისის

ელჩთან ერთად თავს გაქცევით უშველა. ხოლო 1918 წლიდან ფაბერჟეს ფირმამ შეწყვიტა არსებობა. თვითონ ფაბერჟე 1920 წელს ლოზანაში გარდაიცვალა.

XX საუკუნის 20-იანი წლები ფაბერჟეს ხელოვნების ისტორიაში ალბათ ყველაზე დრამატულ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. მკვეთრად ეცემა ინტერესი ფაბერჟეს ნივთებისადმი ევროპაში — მოდაში მძლავრად შემოდის არტ-დეკო. რუსი ემიგრანტები, რომლებიც მასიურად მიდიოდნენ დასავლეთში თავის გადასარჩენად ყიდნენ ხელთ არსებულ საიუველირო ნაკეთობებს, რომელთა შორის ხშირად ფაბერჟეც იყო. მოულოდნელად დასავლური არტ-მარკეტი აღმოჩნდა სავსე მოდა გადასული ფაბერჟეს ნივთებით. ხშირად ამ ნივთებს ყიდდნენ როგორც ძვირფას ქვებს ან მეტალს და არა როგორც ძვირფას ნაკეთობას. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში ფაბერჟეს უამრავი ნივთი უბრალოდ დაიკარგა.

მაგრამ აპათიური პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა. 20-იანი წლების ბოლოს, ისეთი წინდახედული არტ-დილერები როგორებიც იყვნენ ჰამერი, სნოუმენი და შაფერი, იწყებენ ფაბერჟეს ნივთების შეკრებას და უკვე 1933 წელს ჰამერმა ნიუ-იორკში მოაწყო ფაბერჟეს კოლექციის გამოფენა. მიუხედავად იმდროინდელი ამერიკის დიდი დეპრესიისა, გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ამას მოჰყვა პრესის ფართო გამოხმაურება და საზოგადოების ინტერესის გაზრდა. ამან, ბუნებრივია, ფასების შემდგომ ესკალაციას შეუწყო ხელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ფაბერჟეს ნივთების კოლექციონირების ახალი ერა. ამ დროიდან საბჭოთა მთავრობამ აკრძალა ფაბერჟეს ნივთების გაყიდვა საზღვარგარეთ.

50-იან წლებში ჩნდება ახალი საკმაოდ სოლიდური კოლექციები მსოფლიოში, ერთ-ერთი ასეთი იყო გემთმშენებლობის მაგნატის ლონდსტენ კრისტის კოლექცია, რომელსაც ამშვენებდა განთქმული ყვავილებიანი კალათა და მამლიანი საათი...

მალკოლმ ფორბი ფაბერჟეს კოლექციონერობას 60-იან წლებში შეუდგა. დღესდღეობით ფორბი ფაბერჟეს მშვენიერი ნივთის მფლობელია და შეიძლება ეგვიპტის მეფის და ინგლისის დედოფლის ფაბერჟეს კოლექციებსაც გაუტოლდეს;



## ეს ყველაფერი დასაწყისია

ალეკო გოგოტიშვილს!

პირში თქმა ყველაზე ნაღდია...

წავიკითხე შენი ლექსები, გაქვს, ცალკეული, პოეტურად საინტერესო სტრიქონი, ხოლო მთლიანად ლექსებს, დახვეწა სჭირდება. ჩემის ღრმა რწმენით, ეს ყველაფერი დასაწყისია.

თუ ბევრს იმუშავებ, ბევრს წაიკითხავ და ბოლომდე გაერკვევი, რომ პოეზია სახეებით აზროვნებაა და უაღრესად დიდი უბრალოება, მიზანს მიაღწევ, უდიერად ექცევი რითმას, თუმცა, ესეც გაწაფვისა და მომავლის საქმეა.

მოკლედ რომ გითხრა, საჭიროა დაოსტატება, აქაც ვითვალისწინებ შენს ასაკს, და არა იმ პროფესიონალიზმს, რომელიც ჩამოყალიბებულ პოეტს უნდა ჰქონდეს. შეგირჩიე ორი ლექსი, ოდნავი ჩასწორებით და ვბეჭდავ იმ პირობით, რომ გაგამხნეო და შეგიძახო ახალგაზრდა კაცს, რომელიც პოეზიის ჯოჯოხეთურ გზას დასდგომია.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

## ალეკო გოგოტიშვილი

### ღირსი არ ხარ

ღირსი არ ხარ, საქართველოვ, გლოვისა და ცრემლის
ღვრისა,
ქართვლის დედავ, ნარიყალავ, ვაი, ეს რა დღე გვეღირსა,
გწამდეს, მაინც გაჩნდებიან, მგლის ლეკვები ალგეთისა,
გვიწინამძღვრებს სამართალი, დაგვიფარავს ძალა ჯვრისა.

დრო არ არის ღალატისა, უქმად თვალის ბრიალისა,
ფუჭად კი ნუ ამოვწყდებით, გული არ ვახაროთ მტრისა,
ნდობა გვინდა, ძმობა გვინდა, ერთგულება, ძმებო, ძმისა,
რომ არ შეგვრცხვეს მომავლისა და წინაპრის საფლავისა.

### საქართველო

ჩანს საშინელი უფსკრულის ხახა,
მოზვავებულან მთიდან ზვავები.
როგორ გიწუხებს სულს უშნო მახრა,
როგორ გასხედან მკერდზე სვავები.

არც როს გქონია ბოროტი ზრახვა,
არც სხვათა კარზე არ იარები,
ასე მგონია, მოვიდა წარღვნა,
გაგეხსნა ძველი ნაიარევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დისპანსერის მთავარი ექიმი გაიოზ ვადაჭკორია

# იმედები რეალობად იქცევა

ენდოკრინოლოგია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (ენდო-კრინო—გამოვყოფ). ეს არის მოძღვრება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (ენდოკრინული ჯირკვლების) აგებულებასა და ფუნქციაზე. იგი შეისწავლის ამ ჯირკვლების მიერ გამომუშავებული სპეციფიკური პროდუქტების — ჰორმონების თვისებებსა და მოქმედებას; მათი ფუნქციის მოშლით გამოწვეულ დაავადებებს.

პირველი წარმოდგენა იმაზე, რომ სხვადასხვა ორგანო სისხლში გამოყოფს ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ანტიკურ ხანას განეკუთვნება. თუმცა XIX საუკუნემდე ენდოკრინოლოგია ძირითადად ემპირიულ დაკვირვებებს ეყრდნობოდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის კი უკვე გარკვეული იყო შინაგანი სეკრეციის თითოეული ჯირკვლის მნიშვნელობა ორგანიზმის მოქმედებისა და განვითარების პროცესების რეგულაციაში. თანდათან გაღრმავდა ცოდნა ენდოკრინული ჯირკვლების ურთიერთქმედების რეგულაციის მოშლით გამოწვეულ დაავადებებზე.

ენდოკრინოლოგიის განვითარებამ გააფართოვა სხვადასხვა დაავადების დროს ჰორმონული პრეპარატების გამოყენების შესაძლებლობა.

საქართველოში პირველი ენდოკრინოლოგიური დაწესებულება, უფრო სწორად კაბინეტი, რომელიც შეისწავლიდა ფარისებური ჯირკვლის პათოლოგიას, 1936 წელს შეიქმნა ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბაზაზე. 1939 წლიდან კი იგი გადაკეთდა ენდოკრინოლოგიურ დისპანსერად.

ასე იყო 1948 წლამდე. დაიწყო ომის შემდგომი პერიოდი და იმატა ჩიყვით დაავადების შემთხვევებმა. საჭირო შეიქნა ენდოკრინოლოგიური დისპანსერის გადაკეთება ჩიყვსაწინააღმდეგო დისპანსერად. თუმცა აქვე იკვლევდნენ შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის, თირკმელზედა თუ სასქესო ჯირკვლის პათოლოგიის შემთხვევებსაც.

1936 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1955 წლამდე ენდოკრინოლოგიური დაწესებულების ჩამოყალიბების უშუალო ინიციატორი და უცვლელი ხელმძღვანელი იყო იოსებ ასლანიშვილი. მისი კოლეგების გადმოცემით, ბატონი სოსო არამარტო თავისი საქმის უაღრესად მცოდნე, პროფესიონალი ექიმი და ენთუზიასტი იყო, არამედ განსწავლული და ყოველმხრივ ერუდირებული პიროვნება გახლდათ.

მის სახელთანაა დაკავშირებული 1925 წლის სვანეთის ექსპედიციები (იგი ამავე დროს მთამსვლელიც იყო). მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ენდემიური ჩიყვის გავრცელების პირველი რუქა.

1955 წელს იოსებ ასლანიშვილი მოულოდნელად დაიღუპა ავტოკატასტროფაში. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ასლანიშვილის დაწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა. ბატონი სოსოს კოლეგა და მეგობარი — რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი გაიოზ ვადაჭკორია. თუმცა ბატონი გაიოზი ამ დაწესებულებაში 1947 წლიდან, სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე (სადაც სამედიცინო ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებული აგრეთვე ექიმად მუშაობდა) მოვიდა. იქიდან მოყოლებული ჩვეული ერთგულებითა და დაუოკებელი ენერგიით ემსახურება ენდოკრინოლოგიის რთულსა და საპატიო პროფესიას.

ვინ მოთვლის, ხუთი ათეული წლის მანძილზე მის მიერ სწორად დასმულმა დიაგნოზმა რამდენ ადამიანს მოჰგვარა შვება, რამდენგზის დაიმსახურა მადლიერი პაციენტის ნდობა და სიყვარული.

ბატონი გაიოზი პარალელურად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ენდოკრინოლოგად მუშაობდა 1986 წლამდე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი, ამავე დროს საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა.

სულ რამდენიმე წელია, რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერი ფუნქციონირებს ვაჟაფშაველას 95-ში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. აქ განთავსებულ ბიო-ქიმიურ, კლინიკურ ლაბორატორიებსა და ძირითადი ცვლის კაბინეტში, რომელიც ფარისებული ჯირკვლის ფუნქციურ ცვლილებებს იკვლევს, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ექიმების შალვა ჩხენკელის, კობა ჯიჯიხიას, ექიმ-ლაბორანტების იზა ბოლქვაძის, ნანა ეფრემიძისა და სხვათა ცოდნითა და მუყაითობით გამოიკვლევა და დგინდება ენდოკრინოლოგიურ დაავადებათა რიგი შემთხვევებისა, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ისევ ხშირია.

თუმცა ავადმყოფთა დროული და სწორი დიაგნოსტიკა, მკურნალობის პროგრესული მეთოდები და მუდმივი მეთვალყურეობა ავადმყოფს სასოწარკვეთისა და უიმედობისაკენ მიმავალ ყველა გზას უჭრის.

დისპანსერის მთელ კოლექტივსა და მის მთავარ ექიმს ბატონ გაიოზ ვადაჭკორიას მომავლის საინტერესო გეგმებიც ესახებათ, თუმცა ეს პირველ რიგში დღეს არსებულ უბადრუკ ბიუჯეტსა და კიდევ სხვა მსხვილმან თუ წვრილმან პრობლემებთანაა დაკავშირებული, რომელიც ჩვენი სამომავლო იმედების მსგავსად, უნდა ვიფიქროთ, რეალობად იქცევა.

უკეთესი მერმისი კი სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე საიმედო და უტყუარი გზაა.

**მარიკა ხუბულია**

# ჯვარი ზღვაზღვანზე აღიმართება



უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ახალგაზრდობის სწრაფვა თვითდამკვიდრებისა და ყოველმხრივი სრულყოფისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობა სოციალურად სულ უფრო აქტიური ხდება და ცდილობს, თავად იფიქროს მის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და მიმართულებებზე. საგულისხმო სტატისტიკაა — დღეისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და ადგილობრივი მართვის ორგანოებში რეგისტრირებულია ასზე მეტი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომლებშიც ათასობით ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდაა გაერთიანებული. მათი საქმიანობის სპექტრი მეტად მრავალმხრივი და საინტერესოა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი, ვფიქრობთ, ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდს ეკუთვნის. მათ საქმიანობაზე მოგვითხრობს ინტერვიუ ფონდის პრეზიდენტთან **გიორგი კალანდაძესთან.**

● **ბატონო გიორგი, როდის დაარსდა საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი და რა შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია მას?**

—საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი სამი წლის წინ დაარსდა და იგი ქართული ანალოგიაა საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული და მეტად გავლენიანი ახალგაზრდული ფონდებისა.

საერთაშორისო დაერქვა იმიტომ, რომ ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს ეკეთებინათ საერთაშორისო საქმეები, რომლებიც ორივე მხარისათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის მიზანდასახული და სასარგებლო იქნება. იმის დასტურად, რომ ჩვენ ერთხელ აღებული სწორი კურსიდან არ გადაგვიხვევია, მიგვაჩნია ფონდის საზეიმო პრეზენტაცია, რომელიც წლის დასაწყისში — 7 იანვარს გაიმართა.

**—თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით ფონდის მიზნები და ამოცანები?**

— ფონდი შეიმუშავებს და წარმართავს ახალგაზრდულ პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების საერთაშორისო გაცვლები; ნიჭიერ ახალგაზრდათა სასწავლებლად მივლინება საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრდობის სოციალური დაცვა; საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის ინტეგრაცია ევროპასა და მსოფლიოს ახალგაზრდულ მოძრაობაში, სპორტისა და ტურიზმის განვითარება, ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა და ა. შ. ეს მხოლოდ მშრალი ჩამოთვლაა იმ ზოგიერთი საქმისა, რომელსაც ფონდი წარმართავს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ფონდს სახელმწიფო არ აფინანსებს. ძირითადად თანხების მოზიდვა ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და იმ კომერციული სტრუქტურებიდან, რომლებიც მათ კომპეტენციებში შემოდის. ფონდს დახმარების ხელი გამოუწოდა აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციამაც. განსაკუთრებული მადლიერება უნდა გამოვთქვათ თბილისის მერიისა და მისი მაშინდელი თავკაცის ბატონ ნიკო ლეკიშვილის მიმართ დიდი ყურადღებისა და აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ახლა კი კონკრეტულად რა გააკეთა ფონდმა არსებობის სამი წლის მანძილზე;

მრავალი სტუდენტი და ნიჭიერი ახალგაზრდა იქნა მივლინებული საზღვარგარეთ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში. საქართველოს მხატვართა ასოციაციასთან თანამშრომლობით (პრეზიდენტი მაკა დვალიშვილი) დაარსდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახვითი ხელოვნების განვითარებას, ტრადიციული ხალხური რეწვის აღორძინებას, ჩატარდა სატელევიზიო ფესტივალი „მანა — 95“. ფესტივალის გალა წარმოდგენას 1995 წლის ოთხ ნოემბერს დაესწრო სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ქართული და რუსი ტელეჟურნალისტების თანამშრომლობის შედეგად დაისახა საერთაშორისო ფესტივალის დაარსების პერსპექტივა: შეიქმნა შავი ზღვის რეგიონის ახალგაზრდული თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის ახალგაზრდული ალიანსის განვითარებას, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა რეგიონალურ თანამშრომლობას. ეს ორგანიზაცია აერთიანებს შავიზღვისპირა ქვეყნების თორმეტ ქვეყანას. წარმომადგენელთა პირველი შეკრება უკვე გაიმართა ქობულეთში გასული წლის ოქტომბერში. გადაწყდა, რომ შავიზღვისპირა ალიანსის ცენტრალური ოფისი თბილისში დაფუძნდეს. მომდევნო შეხვედრა კი დაგეგმილია უკრაინაში, სადაც განიხილავენ ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამასა და ძირითად მიმართულებებს.

**— თქვენ არაფერი გითქვამთ იმ ჩანაფიქრის თაობაზე, რომ-**

**ლის შესახებაც ახალი წლის დამდეგს რადიო და ტელევიზია არაერთხელ იუწყებოდა.**

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემას ჩვენს მუშაობაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს მათთვის სპეციალურად შედგენილი პროგრამა. „ხსოვნა“, რომელიც დაღუპულთა ოჯახებს შეძლებისდამაგვარად უდგას მხარში და ეხმარება. ფონდმა სამი ეშელონი ბრინჯი და ათიათასობით დოლარის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა ლტოლვილებს, მოხუცებსა და გაჭირვებულებს. ჩვენივე ხარჯებითა და ხელშეწყობით რამდენიმე ახალგაზრდა წავიყვანეთ მოსკოვში საოპერაციოდ და სამკურნალოდ.

ჩემი აფხაზეთში ყოფნისას, როცა იქ ჰუმანიტარული დახმარება ჩავიტანეთ, საკუთარი თვალით ვიხილე ის ნგრევა, აწიოკება, შიმშილი და სიკვდილი, რომელიც თან ახლდა აფხაზეთის ტრაგედიას. სწორედ მაშინ დამებადა იდეა საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულთა უკვდავსაყოფად მცხეთასთან ახლოს, ზედაზნის მთაზე საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ჩვენი დედაქალაქი, აღგვემართა 50 მეტრი სიმაღლის რკინის ჯვარი, როგორც სიმბოლო სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნის პატივსაცემად.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II და საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა ჩვენს ინიციატივას. ჯვარმა (არქიტექტორები ზ. გეწაძე და ვ. ცანავა) საუკუნეებს უნდა გაუძლოს, როგორც სიმბოლომ საქართველოს უკვდავებისა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჯვარი თავისუფალია ყოველგვარი რელიგიური დატვირთვისაგან.

დღეისათვის დასრულებულია საძირკვლის გასამაგრებელი და პირველი ოცდაათი მეტრის კონსტრუქციის მონტაჟი. მისი დამთავრება წლის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი. მის აგებაზე, ყოველგვარ ამინდში უანგაროდ და თავდადებით მუშაობს ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა სულისკვეთება და ენთუზიაზმი სამაგალითო უნდა გახდეს ნებისმიერი ახალგაზრდისათვის, თუ კი ის

(დასასრული 22-ე გვერდზე)



სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი

CATHOLICOS - PATRIARCH OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 * 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ინიციატივით ზედაზნის მთაზე, ზედაზნის მონასტრის მახლობლად, იდგმება ორმოცდაათი მეტრის სიმაღლის რკინის ჯვარი, რომელიც სიმბოლური პატივის მიგება იქნება მათი ხსოვნისა, ვინც ჩვენი ქვეყნის ერთიანობას თავი შესწირა.

გთხოვთ, გაუწიოთ შესაძლო დახმარება საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ამ პროექტის განხორციელებაში.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

1994 წელი 5 ივლისი.

ლექსი მედეა კახიძისა

# ჩემი მიწის სადღეგრძელო




ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე
საქართველოს საოცნებო გზები,
გრძელი, როგორც ჩვენი მრავალჟამიერი,
ხვავრიელი, როგორც პურის ძნები.

ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა ვიყო თავანკარა გაზაფხული
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე.

თელეს, თელეს, ვერ გათელეს
განა მართლა თავზე ჩამოგვექცა
ვარსკვლავების ჩიხტიკოპით დაბურული
საქართველოს მადლიანი ზეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამღერებული ლექსები

## ერთხელ ამამღერე

რას შეგადარო გვირილავ თეთრო,
მინდა მოჩითულ მინდვრებს შვენოდე.
მინდა ყოველთვის მზესავით ენთო
მინდა მარადის შენთვის ვმღეროდე.

შენ რომ მიყვარდე მოვსულვარ მისთვის,
რომ სიყვარულის ცრემლი დავღვარო,
შენი სიმღერის გამხადე ღირსი,
ჩემი სიმღერის ცაო, მაღალო,

რაკი ქვეყანაზე
თვალი გავახილე
ერთხელ გამახარე
ერთხელ გამაღიმე
რაკი სიზმრებიდან
ცხადში გამაცილე
ერთხელ ამამღერე
ერთხელ გამაცინე.

* * *

## ჩუმად გაგიყვან მინდორში

მზითა და მთვარით ამავსებს
შენი ნათელი სახეო,
ანთებულ სანთელს გამსგავსე
ციკრის ლოცვაზე გნახეო.

ჩუმად გაგიყვან მინდორში,
ჩუმად დაგისხამ ღვინოსა,
ისეთ სიმღერას გიმღერებ
თვალს ცრემლი მოედინოსა.

მინდორ და მინდორ დავყვები,
დავკრეფ ვარდსა და იასა,
ყაყაჩოს აგიბრიალებ,
არ მოგაკარებ ნიავსა.

თავს შემოგავლებ ძვირფასო,
ფიქრი არ გქონდეს ავისა,
შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო,
გამთენებელო ღამისა.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**




* * *

## სიზმრად გნახე

სიზმრად გნახე ყვავილებში
უშფოთველად გეძინა,
პირს ღიმილი დაგფენოდა
მკლავზე მთვარე გეწვინა.

გამეღვიძა გული დამწყდა,
ახლა უკვე სხვისი ხარ,
ვაი, ველარ დაგივიწყებ,
ზედ წამწამზე მიზიხარ.

დროს მივყავართ თავდაღმართში,
მივალთ ველარ ვჩერდებით,
ორაზროვნად გვეღიმება,
ერთაზროვნად ვბერდებით.

**გივი ალხაზიშვილი**

* * *

## სიყვარულთან თამაში

მინდვრად დაგიჭერ პეპელას,
თუ გამოდგება მარაოდ,
ჩამოგაფარებ სახეზე,
და მზისგან დაგიფარავო.

მის ჩრდილ ქვეშ ერთხელ გაკოცებ —
დელია,
თუ ერთხელ კოცნა კმარაო — დელია,
მინდვრად დაგიჭერ პეპელას — დელია
თუ გამოდგება მარაოდ — დელია.

იცოდე ყველა ასაკში,
გული რომ მხოლოდ გულია,
და სიყვარულთან თამაში
სასტიკად აკრძალულია.

როგორც უთქვამთ ასაკიო — დელია,
სიყვარულმა არ იცისო — დელია,
და სიყვარულთან თამაში — დელია,
სასტიკად აკრძალულია — დელია.

**ზურაბ კუხიანიძე**

## შენი ერთადერთობით

ვერ გავუძელი ვარსკვლავთა ციმციმს
და გულმა შენკენ გამოიწია,
შენა ხარ ჩემი ლოცვა და ფიცი,
და მე უშენოდ არ შემიძლია.

გეძებ, გეძახი, ვერ გაგაგონე
გული მტკივა და დამედე წამლად,
ალბად, ძალიან გიყვარვარ თორემ,
ასეთ დროს ჩემთან რამ მოგიყვანა.

ცხოვრებაში ათასნაირ
გახართობით ვერთობით,
რანაირად გამოცე
შენი ერთადერთობით.
სიჭაბუკე დამიმშვენე
მთის წვერი და ფერდობი
სიბერემდე მიმაცილე
შენი ერთადერთობით.

**ლილი ნუცუბიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალბატონი რუსუდან სებისკვერაძე, შვილები: დათო და მარიკა

# ისეთ სიმღერას გიმღერებ...

ეთერ ჯაფარიძე

ნუცუბიძის მაღლობის შეფერდებაზე, მრავალსართულიან სახლში ქართული მუსიკალური სამყაროს მშვენების, თვალსაჩინო კომპოზიტორის რუსუდან სებისკვერაძის ოჯახი ცხოვრობს.

გადააბიჯებთ კარის ზღურბლს და საოცარი სიმშვიდე დაგეუფლებათ. კედლები რუსუდანის შემოქმედებითი საღამოებისა და კონცერტების ამსახველი ფოტოებითაა მოფენილი. ოთახის სიღრმეში როიალი დგას. აქ მუშაობს კომპოზიტორი. აქ იქმნება, იწერება, მუშავდება სათაყვანო ქართული მელოდიები, ჩინებული ნაწარმოებები, რომლებსაც უსმენენ ტელევიზიით, რადიოთი. მაყურებელი უკრავს ტაშს, და უმალ ხალხის კუთვნილება ხდება. და ეს არის ჭეშმარიტი ამღერება სულისა, მსმენელს რომ აგრერიგად იპყრობს და აჯადოებს.

როიალზე ორი ნოტი დევს. ფურცლავ და მინაწერებს კითხულობ: „ჩემს ნიჭიერ მეგობარს — მაცაცოს — დუეტი კინოფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი"; „მშვენიერ მუსიკოსს, ნიჭიერ კომპოზიტორ ქალს — მაცაცოს — „ჰიმნი ქუთაისს" რევაზ ლაღიძე. და კედლიდან გმოძღვრავს მისი დიდბუნებოვანი, შთამაგონებელი სახე.

ოჯახი ხელოვნებით, მუსიკალური ცხოვრებით ცოცხლობს. ედუარდ გერსამია — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსუდანის ლირსეული მეგობარი და მეუღლეა.

ვაჟიშვილი დათო დაუსრულებლად ღიღინებს. როიალს მიუჯდება და იწყებს: „და თბილისი ჩაუსვია სიყვარულის ჩარჩოს"... მღერის მარტო, მღერის დედასთან ერთად. იგი უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია, ინგლისური ენის სპეციალობით.

მარიკა — ქალიშვილი — უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, სუხიშვილისა და რამიშვილის სტუდიაში სწავლობდა. ჩინებულად ცეკვავს.

დათომ და მარიკამ მუსიკალური შვიდწლედები დაასრულეს. ქმარშვილისათვის მაცაცო (ასე ეძახიან რუსუდანს შინაურები) იდეალია, მუდამ მომღიმარი, მოსიყვარულე, უპრეტენზიო, ხალასი შემოქმედი.

მართლაც და რა ბედნიერებაა, ამ შეჭირვებულ ცხოვრებაში, როცა გაუსაძლის ყოველდღიურობას გაუთვალისწინებელი სირთულეები მოაქვს, ქართულ ოჯახში ერთად შეკრული აზრი და ფიქრია, წმინდა ეროვნული სუნთქვა იგრძნობა და ყურთ გესმის: საყვარელო მამულო, შენ სიყვარულს...

და ცრემლად იღვრება ჰანგები, ცრემლს აფრქვევს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე შექმნილი მუსიკა, საოცრად მელოდიური, ჭეშმარიტად ქართული, რუსუდანისეული, ასე რომ დამკვიდრდა ჩვენში, და ასე რომ დაიპყრო მსმენელთა გულები.

ზესტაფონში ცხოვრობდნენ. ნინო ადრე დაქვრივდა. აღსაზრდელად ორი გოგონა დარჩა. რუსუდანის უტყუარი მუსიკალური ნიჭი ყურადღებიან დედას არ გამოპარვია. ბავშვი ერთი წლისა არც იყო, რადიოთი მოსმენის შემდეგ „დაისის" უვერტიურას შეუცდომლად რომ მღეროდა, იგი ზესტაფონის მუსიკალურ სასწავლებელში მიაბარეს.

გამოჩენილი მუსიკოსი პავლე ხუჭუა იმხანად რაიონებში მუსიკალურ, ნიჭიერ ბავშვებს ეძებდა. პავლემ რუსუდანი შენიშნა და დედას დაბეჯითებით თხოვა — კონკურსში მონაწილეობისათვის თბილისში აუცილებლად ჩამოეყვანა. რუსუდანმა კონკურსში გაიმარჯვა. ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში მიიღეს. ნათელა კენჭიაშვილი იყო მისი პედაგოგი. კონსერვატორიაშიც, ფორტეპიანო კლასში მასთან განაგრძობდა მუშაობას.

ქალბატონი ნინო, განათლებით ისტორიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. დედას დიდი როლი მიუძღვის რუსუდანის ცხოვრების გზის სწორ არჩევანში.

რუსუდანმა კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით დაასრულა. „პუშკინის" ინსტიტუტში მუსიკის ფაკულტეტზე პედაგოგად მიიღეს, სადაც კათედრას რეზო ლაღიძე ხელმძღვანელობდა. მუსიკალური სამყაროს დიდ მოძღვართან ყოფნა ჩინებული სკოლა აღმოჩნდა მოკრძალებული ახალბედასათვის.

— ლუკმა-პურის ფულს მართმევ, სიმღერებში მეჯიბრები? — ერთხელ იუმორით უთხრა რუსუდანს რეზომ, შემდეგ მზრუნველობით დასძინა: — მაჩვენე, რა „პესნებს" წერ. რუსუდანი მაშინ მხოლოდ ათი ლირიკული მელოდიის, ათი სიმღერის ავტორი იყო.

მაცაცო მომითხრობს:

— უდიდეს სკოლას მაზიარა და მუდამჟამ ყურთ მესმის ბატონი რეზოს დარიგება: „როგორც წერ, ასე წერე, ჩახლართული წერა არ მინდა, სიმღერას მელოდია სჭირდება. შენ ეს გაქვს და აი ასე, ქართულად წერე". ჩემთვის ის ღმერთად დარჩა. დიდი მასწავლებლის აჩრდილი მარად თან დამყვება. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივუძღვენი სიმღერები „იმერეთი“ და „მენატრები“.

იფურცლებოდა წლები. წინ მიდიოდა რუსუდან სებისკვერაძის ეროვნული, პატრიოტული, ნამდვილად ქართული მუსიკალური ცხოვრება. კომპოზიტორი წერდა მუსიკას და მღეროდნენ: „მშობლიურ მიწაში მიდგას ფესვები“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „ომში წასულო ვაჟკაცო, გფარავდეს დედა ღვთისაო“, „საყვარელო მამულო“...

რუსუდან სებისკვერაძე ამჯერად ორასზე მეტი სიმღერის ავტორია. კომპოზიტორის სულს ლექსი ამღერებს და ასე იქმნება დაუვიწყარი მელოდია, საგულდაგულოდ ეძიებს ტექსტებს, ასევე არჩევს მომღერლებს, შემსრულებლებს.

რუსუდან სებისკვერაძის სიმღერები მორის ფოცხიშვილის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მარიკა ბარათაშვილის, ლილი ნუცუბიძის, დოდო გვიშიანის, ზურაბ კუხიანიძის, მზია ჩხეტიანის, შოთა ხოდაშნელის, ლინა ბარათაშვილის და ბევრი სხვა პოეტის ლექსებზე შეიქმნა.

რუსუდანი კონსერვატორიის პირველ კურსზე სწავლობდა, როცა მედეა კახიძის ლექსზე „მე ვარ ახლად გამომწვარი დედამიწა და შენს ირგვლივ დღედაღამე ვბრუნავ“... სიმღერა დაწერა. მსმენელებმა დიდებული მელოდია აიტაცეს. მისი პირველი შემსრულებელი მედეა ძიძიგური გახლდათ, ხოლო ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა პირველი საბავშვო სიმღერა დაწერა და ჟურნალმა „დილამ“ გამოაქვეყნა.

კომპოზიტორს ხელოვნების უბადლო ოსტატები ჰყავს გარშემო შემოკრებილი: ნანი ბრეგვაძე, თემურ თათარაშვილი, ეკა მამალაძე, მაია ჯაბუა, ეთერ კაკულია, მერაბ სეფაშვილი, ნუკრი კაპანაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ზაურ ბოლქვაძე და სხვები. გოგი დოლიძე მისი ოცდაცამეტი სიმღერის შემსრულებელი იყო.

მის ნაწარმოებებს ასრულებენ ანსამბლები: „ქართული ხმები“, „თბილისი“, „ჰარმონია“, „პალიტრა“, „ოთხი გია“.

ამჟამად რუსუდანი საბავშვო სიმღერების ორნაწილიან (30 სიმღერა) კრებულზე მუშაობს. მასშია ყველა თაობისათვის საყვარელი ...„მარიკელამ ხელი ჩაჰყო კიდობანში“.

რუსუდანი 28-ე სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის პედაგოგია. უნივერსიტეტში კულტურის სახლის საესტრადო განყოფილებას უძღვება. გახსნა ვოკალური ჯგუფები და სათანადოდ შერჩეული რეპერტუარით მოზარდებს ქართულ საბავშვო სიმღერებს ასწავლის. ბავშვთა ფონდმა მას გოგებაშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.

მისთვის მნიშვნელობა არა აქვს დღეს, საათს, წლის დროს. განწყობაა კომპოზიტორისათვის მთავარი. სამზარეულოში ფუსფუსებს, თან ღიღინებს. სწრაფად როიალთან მიიჭრება, თითები კლავიშებზე გარბიან. იქვე, ფურცელზე ახალი მელოდიის მონახაზი ჩნდება. კმაყოფილი სახით მობრუნდება და ოჯახურ საქმეს განაგრძობს. უყვარს გატაცებით საუბარი იმაზე, თუ როგორ იბადება მისი სიმღერები, ლირიკული მელოდია ლექსის ამღერებული სტრიქონებიდან.

**ვსაუბრობ დათოსთან:**

—მე დედაჩემის მუსიკა მიყვარს. ვმღერი მარტოც, მასთან ერთადაც, კონცერტებზე ყოველთვის ვმონაწილეობ. დედამ ქართული სიმღერა ბევრი ნიუანსით მასწავლა. ვუსმენ და მიხსნის, მითითებს, მიხვეწს. დაუსრულებლად ვმუშაობ და ამიტომაც მთელი ჩემი გატაცება ბუნებრივი მონაცემებით თუ დედის დახმარებით, მხოლოდ მუსიკაა.

დათო როიალს მიუჯდება, აკორდებს იღებს, მაცაცო გვერდით უზის და დედა-შვილი „ნეტავ რა მოხდებოდა“... ერთად ასრულებს. შემდეგ „შავი ზღვაც თეთრად მოგეჩვენება თუ ვინმე გიყვარს, თუ ვინმეს ეტრფი“... და ბინაში ტკბილ ჰანგთა დღესასწაული მკვიდრდება.

დათომ ხალხური სიმღერის სკოლა გაიარა. ანსამბლ „მართვეში“ ანზორ ერქომაიშვილმა დაიოსტატა. ოპერის თეატრში ოპერა „და არს მუსიკაში“ ბავშვის როლი შვიდი გაკვეთილით მოამზადა. მისი დიდი პედაგოგი ზურაბ ანჯაფარიძე გახლდათ.

რუსუდანის პირად არქივში ბევრი ბარათია. ერთ მათგანს ვკითხულობ: საყვარელო, საამაყო ქალბატონო, რა უნდა მოგიმატოთ თქვენ ჩემი დიდი კდემის გამოცხადებით, როცა სრულიად საქართველოს უზომოდ უყვარხართ და ერთი მათგანი ვარ მეც: მზითა და მთვარით ამავსებს შენი ნათელი სახეო, ანთებულ სანთელს გამსგავსე, ცისკრის ლოცვაზე გნახეო. ზაირა აფციაური.

რუსუდანმა იმოგზაურა საზღვარგარეთ, იყო მოძმე რესპუბლიკებში.

ქართული მელოდიური სიმღერა ყველგან დიდებულად ჟღერდა და გულითადი სითბოთი იღებდა მაყურებელი.

თბილისში, რაიონებში იმართება დაუვიწყარი საღამოები. ქუთაისში შეხვედრა მოუწყეს. კონცერტის დაწყებამდე რუსუდანმა ქმარშვილით გელათი, შემდეგ მოწამეთა მოინახულა. მოწამეთას ტაძარში მოძღვარი გაგი მოსაშვილი დიდი პატივით შეხვდა. რუსუდანს შესთავაზა ჯვარი დაეწერა. განსწავლული მოძღვრის უფრო დიდი პატივი, აბა, რა იქნებოდა და სახელდახელო რიტუალის შესრულების ცერემონიალი სიყვარულის დიდი პაუზებით ივსებოდა. მარიკა და დათო მშობლების ჯვრისწერას ესწრებოდნენ.

რუსუდანის შემოქმედებითი საღამო ქუთაისში ჩინებულად ჩატარდა. დასასრულ სახელდახელო ბანკეტზე მიიწვიეს, რომელიც ჯვარდაწერილთა ქორწილად იქცა. ოჯახის კალენდარში დაუვიწყარი თარიღი — 1993 წლის 27 აპრილი აღინიშნა. რუსუდანი ქუთაისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

გასულ წელს, 25 აპრილს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი მაყურებლით გაიჭედა. „ისეთ სიმღერას გიმღერებ“..., იუწყებოდნენ აფიშები და დიდ დარბაზში იდგა ჭეშმარიტად სიმღერის დღესასწაული.

და ამ ბედკრულ გარემოში, ადამიანთა შეკუმშულ გულებში სევდა რომ დაბუდებულა, ნუცუბიძის მაღლობის გადასახედიდან, მაღლივი შენობის მეშვიდე სართულიდან, მოჩანს „ვარსკვლავების ჩიხტაკოპით დახურული, მადლიანი ზეცა“, და იღვრება ჰანგები, კაცს ტკივილს რომ დაუამებს, სულს შეუძრავს და შეჭირვებულს „სხვა სიმდიდრე რად ვინატროო“, — ათქმევინებს.

**გაზაფხულო, როგორ გშვენის**
**ვარდისფერი საყურე,**
**სიცოცხლე კვლავ შემაყვარე,**
**იხევ გაშიშვლაპრულე...**

მღერის ლექსი და მართლაც ადამიანთა სიყვარულზე დაუსრულებლად მოგვითხრობს ჩვენი დროის დიდებული კომპოზიტორის რუსუდან სებისკვერაძის განუმეორებელი ხელოვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რასაც გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია!**

# კაცი კაცს ეხმარება

ვასილ გვეტაძე

ძნელია დღევანდელ ვითარებაში წერა. ძნელია და ცოტა არ იყოს, საფრთხილოც — შენ რომ ერთს იტყვი, შეიძლება მეორემ მეორენაირად გაიგოს. შენ გგონია, კარგ საქმეს აკეთებ, მაგრამ ამ შენმა კარგმა საქმემ იქნება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ისიც, ვისზეც წერ და ისიც, ვინც უნდა წაიკითხოს შენი დაწერილი.

ზოგს არც საქებარი სიტყვა ემეტება სხვისთვის და ვერ წარმოუდგენია, როგორც ილიამ ბრძანა, კაცური კაცის დანახვა და გამორჩევა ამდენ აბნეულ პიროვნებში. ამნაირად განწყობილი ადამიანი, ცხადია, დაეჭვებული თვალით შეხედავს ამ ამბავს და გრძელ კუდსაც გამოაბამს.

არადა, ორიოდე თბილი სიტყვა მაინც როგორ არ უნდა თქვა ამ კაცზე, გაჭირვების ჟამს რომ ხელი გამოგიწოდა და, რაც შეეძლო, გაგიკეთა. ყველაფერი ხომ საკუთარი თვალით დაინახე და გულით იგრძენი? როგორ არ უნდა დაწერო რაღაც, თუ რამის დამწერი ხარ, უბრალოდ და ადამიანურად, მის საქმიანობაზე, მის ცხოვრებაზე, თუნდაც იმ ურთიერთობაზე, რომელმაც ასე დააახლოვა ერთმანეთთან ორი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

დიდი ხნის ისტორია არა აქვს ამ სიახლოვეს, მაგრამ ეს დაახლოება მოხდა. მოხდა ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში, კაცის გუნებასიათი იოლად რომ იხსნება და ადამიანები ისე უგებენ ერთიმეორეს, თითქოს დიდი ხნის მეგობრობა ჰქონოდეთ.

... აგვისტოს ცხელი დღეა, პაპანაქება სიცხე. რედაქტორმა თავის მანქანაში ჩაგვსხა, თვითონაც შიგ ჩაჯდა და დიდუბისაკენ წაგვიყვანა. ისე, წინა დღით კი გაგვაფრთხილა, ხორბალს ვიღებთ და ოჯახიდან ცარიელი ტოპრაკები წამოიღეთო.

აიარა დიდუბე მანქანამ და პანთეონის წინ, მხარმარჯვნივ, რომელიღაც ქუჩაზე აუხვია. კედიას ქუჩა ყოფილა, მანქანიდან მოვკარი თვალი აბრას. რკინის ალაყაფიან ეზოში შევედით.

ეზო მანქანებითაა სავსე და ბენზინის ნაცნობ, მძაფრ სუნთან ერთად, ჰაერში ახალგალეწილი ხორბლის სასიამო სუნი იგრძნობა.

მაღალი, წარმოსადეგი კაცი კიბეებზე ჩამოვიდა და რედაქტორს გაესაუბრა. ლაპარაკში ზემოიმერულად უქცევს. უფრო მეტს ისმენს, ვიდრე ლაპარაკობს.

აი, აქ შევხვდი პირველად ასე პირისპირ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — ფირმა „მერანის" დირექტორს ზურაბ კვანტრიშვილს.

აფთიაქის სასწორზე აწონილი სიტყვაა საჭირო იმისათვის, რომ ყველაფერი ისე თქვა, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება და იმ დღესაც მოხდა, მაგრამ დიდი აწონდაწონა არ ჭირდება იმას, დასანახი დაინახო და მადლიერების გრძნობა გამოხატო ადამიანისადმი, რომელმაც ნამდვილად კეთილი საქმე გაგიკეთა და უპურობის დროს რამდენიმე დღის საყოფი „პური არსობისა" გაგიჩინა.

ყველას თავისი თვალი აქვს და თავისი გონება. მეც ჩემი თვალი მაქვს და ასეთ პატარ-პატარა სიკეთეებში კაცის სახეს ვხედავ.

ეს ერთი, მეორეც: ადამიანი თუ ადამიანია, გაჭირვების დროს გამოწვდილ ხელს თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს. დაუვიწყარია, მაგალითად, ჩვენთვის, ჟურნალის თანამშრომლებისთვის, ისიც, ამ ფირმამ და მისმა მესვეურმა, სპონსორობა რომ გაგვიწია და ორჯერ მოგვცა ზედიზედ ხელფასი იმ უხელფასობის პერიოდში.

პატარა სიკეთეა ეს თუ დიდი, თვითონ მკითხველმა განსაჯოს. მამულიშვილობა ჰქვია ამას თუ არა, მკითხველმა თქვას.

მამულიშვილობა, მამულიშვილური სახე, აბა, სხვა რა დაინახება იმაში, თავისი ხელის წახმარებით ბატონმა ზურაბმა რომ დაანახა აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — უნივერსიტეტდამთავრებულმა, კარგმა ეკონომისტმა, პროფესორ ევსეხი მუჯირის ნასტუდენტარმა. ის, ამჟამად ერთ-ერთი მსხვილი ფირმის თავკაცი, აქ, ამ წმინდა ტაძარში, მოდის და ჰქმნის მეცნიერთა დამხმარე ფონდს.

რა ფონდია ეს? ესაა ეროვნული მეცნიერების გადარჩენისათვის საკუთარი ჯიბის ხარჯზე გაღებული თანხა, რომლითაც მისი ფირმა ეხმარება განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩავარდნილ წიგნიერ ხალხს, ძარცვა რომ არ შეუძლია, ყაჩაღი რომ არაა და ციხეებში ჯდომით რომ ვერ მოიწონებს თავს. ეს დიდსულოვანი შრომაა, ბრძოლას რომ ჰგავს, უხელფასოდ დარჩენილი მეცნიერისათვის ლუკმა პურის გაჩენაა.

აუცილებელია კიდევ რაიმეს თქმა? მის კაცურ კაცობაზე რაღა უნდა ითქვას ისეთი და იმაზე მეტი, ვიდრე ეს ფაქტი ამბობს. ოღონდ, იმ დღეებში დაწერილ სტრიქონებს კი გავიხსენებ

სად ნახო მტკვარი, ცხრა მთა რომ მოვლო,
თბილი და მდორე, ვით აქ, იმდარად.
აქ, დილმის ხიდთან, სადაც მე ვცხოვრობ,
დღეს დანით ხელში დგას ვიგინდარა.
არ ვმალავ, იმის ნახვაც მომესწრო
და რაღაც ჩაწყდა სხეულში, შიგნით:
ვერის ბაზარზე მოხუც პროფესორს
გამოეტანა შვილივით წიგნი,
და გასაყიდად დაჭქონდა მისთვის
ყველაზე უფრო ძვირფასი განძი...
მწარე წუთებო, რა ისრით ითვლით
ამაოების დროსა და მანძილს.

ცხოვრება რომ განსაკუთრებული სისასტიკით მოთელავს ხოლმე გამორჩეული სულისა და გონების მეპატრონე კაცს, ეს აშკარაა. მაგრამ მზრუნველსაც რომ უმალ გამოუჩენს?

მართალია, ცოტანი არიან ასეთები, მაგრამ მაინც არიან. კარგად ჩანან ისინი დღევანდელი დღის ფონზე და რა უმწეოდ გამოიყურება მათ გვერდით ერთიმეორეში არეული ჩრდილი და ჩერო.

სხვა მიწის კაცმა შენს მიწაზე შიშველ-ტიტვლად დარჩენილ კაცს ჩასაცმელ-დასახურავი გამოუგზავნა, ვიღაცამ მოიპარა, შავ ბაზარზე გაიტანა და გაყიდა. ცხრა მთას იქიდან ხელი გამოგიწოდეს და უფასოდ მოგცეს ათასობით ტონა რძის ფხვნილი, ყველი, თევზისა და ხორცის კონსერვი, ერბო, კარაქი, შაქარი... იმ ვიღაცის უმადლო ხელმა, სადღაც კუნჭულებში შემალა, მერე ყოველ ფეხის გადადგმაზე მწკრივებად ჩარიგებულ ჯიხურებში შეზიდა და ისიც გაყიდა.

ხალთაში შუბმა თავი ვერ დაიმალა და ერთი რამეც უნდა ითქვას.

შეიძლება, და ეს დიდი ცოდვა არაა, ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ჟურნალი „დროშა“ თავისი არსებობის ასოცდამესამე წელში შევიდა და მისი პირველი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე იყო. მის სათავეებთან დგანან გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიაჩელი და გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, სანდრო შანშიაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი...

და აი, უსახსრობის გამო, ჩვენს დროში, საეჭვო გახდა მისი ბედი: იარსებებდა თუ ველარ იარსებებდა ჟურნალი? ქვეყნის დაქცევად კი ვერ ჩაითვლება სახელოვანი წინაპრების მიერ ნალოლიავები ჟურნალის დახურვა, მაგრამ სასიამო ფაქტიც რომ არ იქნება, ესეც ცხადია.

ღმერთმა ნუ დალიოს ხელმადლიანი ადამიანები საქართველოში. სწორედ ამ კეთილშობილი, საქმეში ჩახედული ადამიანების ხელშეწყობითა და წყალობითაა, რომ სუნთქვა აღარ უჭირს „დროშას“.

●

დიღმის ხიდიდან დიდუბისაკენ ფეხით გამოვყევი გზას. სინათლეები ჩვეულებრივად გამოთიშულია და არანაირი ტრანსპორტი არ მუშაობს. ეჭვი ღრღნის გულს და ჩმამაღლა თუ არა, შენთვის მაინც ფიქრობ, რომ ამ წარამარა ჩაქრობა-ანთებაში სხვა ხელი ურევია და სხვა რაღაც იმალება.

ისევ პანთეონი, მის მოპირდაპირე მხარეზე ისევ ის ვიწრო ასახვევი, კედიას ქუჩა. ისევ ის ალაყაფი, მანქანებით სავსე ეზო და ეზოში ერთსართულიანი გრძელი შენობა.

უბრალო, ჩვეულებრივ ოთახში შევედი. ის ტელეფონზე ელაპარაკება ვიღაცას. სანამ ლაპარაკს მორჩება, მე ოთახს მივათვალ-მოვათვალიერებ. ჩვენებურ ყაიდაზე გამართული ბუხარი, ბუხართან პატარა, მრგვალი მაგიდა რამდენიმე რბილი სკამით, გრძელი საწერი მაგიდა, ზედ მიდგმული სატელეფონო აპარატურა, — აი, ამ ოთახის მთელი მორთულობა და ავლადიდება.

ნამდვილად არ ჰგავს ეს ოთახი საგამოფენო დარბაზს და მე მხოლოდ იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას ამაზე, რომ მასში მისი მეპატრონის ხასიათი ჩანს.

ხალხს უთქვამს და სწორია, გუნებიერი და საქმიანი კაცი, უპირველეს ყოვლისა, თავის სამუშაოზე გამოჩნდებაო.

გულიანად კი შემხვდა, მაგრამ ვატყობ, ეკლებზე ზის. უჭირს, აშკარაა, თავისთავზე საუბარი.

მასთან მობაასე კაცი, ოდნავ დაკვირვებული თუა, უეჭველად ამოიკითხავს ამას მის მოქმედებაში. მაგრამ რაღაც-რაღაცეები მაინც უნდა მითხრას.

ვიცი, რომ იგი და მისი საზოგადოება-ფირმა ბევრი სასიკეთო საქმის წამომწყებია. ამისთვის მარტო დედოფლისწყაროს მაგალითი კმარა. „მერნელები“ შეფობას უწევენ დედოფლისწყაროელებს, ეხმარებიან მათ ტექნიკით, შხამქიმიკატებით...

ამის თაობაზე დაურეკია დედოფლისწყაროდან ავთანდილ ლეკიშვილს, აგროფირმა „ქოჩების“ თავმჯდომარეს. სამი ათას ჰექტარზე დაუთესავთ აქ ხორბალი. სამი ათასი ჰექტარი მიწა დაუმუშავებიათ და არაფერი მოუკლიათ მისთვის. მარტო ამ დღეებში ორასი ტონა აზოტი გაიგზავნა აქედან და აი, ამ აზოტის გამო დარეკა სულ რაღაც წუთების წინ „ქოჩების“ თავმჯდომარემ.

ხომ ვხედავთ, გამრჯე, გონიერი ადამიანები მშრალი სიტყვითა და დაპირებებით კი არა, ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობით რომ აკეთებენ ეროვნულ საქმეს — ძველი ქართული ხორბლის მოყვანაზე ფიქრობენ. ფიქრობენ იმაზე, რომ სხვისკენ არ გვქონდეს გაწვდილი ხელი და საქართველომ თავისი საკუთარი ხორბლითაც იამაყოს, პურით აივსოს ბეღლები ისევე, როგორც ეს ადრე ივსებოდა და ყაზახეთიდან აღარ გვჭირდებოდეს, კაცმა რომ არ იცის, რანაირი ხერხითა და მანქანებით, მისი ჩამოტანა.

ეს, რაც ხორბალს შეეხება.

ახლა ვაზზეაც ვილაპარაკოთ. საფრთხეშია ვაზი კახეთში, ვაზის ქვეყანაში. ქართველ კაცს სახელივით რომ ენთო და უნათებდა სინათლე, ამის თქმა ამერიკის აღმოჩენად არ ჩამეთვლება, არც ისაა ახალი, იოლ შემოსავალზე გადაყოლილმა მეურნეებმა უმოწყალოდ რომ აჩეხეს ვენახი და ნავენახარზე საზამთროს ბაღები მოაშენეს.

ყველა უყურებს ამ საცოდაობას, მაგრამ თბილი, საქმიანი სიტყვა ცოტამ თქვა. ზურაბ კვანტრიშვილის ფირმამ კი იჯარით აიღო დალუპვის პირას მისული ორასი ჰექტარი ვაზის ფართობი და გადაარჩინა. ვაზი გადაარჩინა, ფირმა კი დაზარალდა, გვალვიანი წელიწადის გამო ვაზის მოსავალმა იმედი არ გაამართლა.

პირველი მერცხლის მოფრენად მიიღეს „მერნელების“ გამოჩენა დედოფლისწყაროში. მოფრინდა მეორე მერცხალიც — ბანკი „ოლიმპია“. გამოჩნდნენ სხვებიც და დაიწყო დიდი მამულიშვილური ლაშქრობა ვაზის გადარჩენისათვის.

შარშან არ გაუმართლდათ? რას იზამ, გულს არ გაიტეხენ. ასეთია ბიზნესი, თამაშივითაა, ერთხელ წააგებ, მეორეჯერ მოიგებ. მთავარი მაინც ისაა თურმე, არ დაფრთხე, არ შეშინდე და უკან არ დაიხიო.

უკან დახევა კი არა, „მერანის“ მესვეურმა იჯარით კიდევ ასზე მეტი ჰექტარი მიწა დაიმატა აბალახებული, მოუვლელი, გაჩანაგებამდე მისული, ასაჩეხად გამზადებული.

ადგილობრივი მუშახელიც დასაქმდა და ამით ლუკმაპური გაუჩნდა გლეხკაცს... ისე კი, მარტომ ვერ მოუარა ვენახს, ვერ შეწამლა — შაბიამანი არ ეყო, ვერ მოაშორა წელამდე შემომდგარი ბალახი — მანქანა-იარაღები აღარა აქვს.

დაინახეს ეს და მიეხმარნენ: საქმეს უკვე კარგი პირი უჩანს. საზამთროსაც მოიწევენ კახეთში და ვენახიც არ იგრძნობს თავს შეწუხებულად.

ყველაფერი გაიანგარიშა და გაითვალისწინა საქმეში ჩახედულმა ჭკვიანმა და მცოდნე პრაქტიკოსმა კაცმა, რომელმაც ცხოვრების დიდი სკოლა გაიარა, ჯერ კიდევ სტუდენტობაში ყაზახეთსა და სმოლენსკში ყოფნით, მერე შიდა ყამირზე, ლილოს მინდვრებში.

აგერ მთელი ოცი წელია აქ მუშაობს, ამ ტერიტორიაზე — საქონელმცოდნედ, განყოფილების უფროსად, კონცერნის თავმჯდომარედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა ფირმამ არსებობა მეგობრების დახმარებითა და ხელშეწყობით დაიწყო — რუსეთიდან, უკრაინიდან წინასწარი ჩარიცხვის გარეშე მისცეს თანხები და იმ თანხებით აეწყო მუშაობა: პირველად საბურავები შემოიტანეს, მას მოჰყვა ავტოტრანსპორტისა და ტრანსპორტის ძირითადი შემადგენლობა, სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები.

ამჟამად ერთობლივი საწარმოების შექმნაზე ფიქრობენ როგორც რესპუბლიკაში, ისე მის გარეთმყოფ ადრინდელ მეგობარ ფირმებთან.

ერთი სიტყვით, გზა მიდის იქითკენ, რომ კაცმა კაცით იარსებოს და არა პირიქით.

ურთიერთმტრობა და შუღლი, არც მეწარმეს რგებს და არც სახელმწიფოს. სხვაგან ეს, კარგა ხანია გაიგეს და ნორმალურ მუშაობას შეუდგნენ.

სწორედ ამაზე ისაუბრა ჩემთანაც, იმ დღეებში სომხეთიდან ჩამოსულმა ბატონმა ზურაბმა. ისაუბრა მოკლედ და ძუნწად.

ჯერ ერთი, სადაო არაა, რომ იქ სომეხი სომეხს ძირს არ უთხრის, მეორეც, ისე არ დაზარალებულა მათთან წარმოება. ერთმანეთის ხელშეწყობით შედარებით მოკლე დროის განმავლობაში განვითარდა შიდა მრეწველობა. ჩვენთან კი გიგანტები დგანან. ხშირად ადამიანები ხელშეწყობის მაგივრად, ხელს უშლიან ერთმანეთს.

ამბობენ, სასიკეთო საქმეზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილი არააო. ქართველი კაცის სისხლხორცშიც ესაა გამჯდარი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“...

... საქმიანი კაცი ძირისძირამდე, უპირველეს ყოვლისა, თავის საქმეში იცნობა. აი, ზის, იგი, ჯანიერი და გუნებიერი პიროვნება, თავის საქმეში ჩაფლული და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, ფიქრობს წარსულზეც, და უეჭველად ენანება, რისი გაკეთებაც უნდოდა და ვერ გააკეთა სხვადასხვა მიზეზების გამო.

— ვიცხოვროთ ისე, — მე არ მითქვამს, ხალხმა, თქვა, — როგორც ჩვენი მამაპაპანი ცხოვრობდნენ, ისე, მართლაც ადამიანურად და კაცურად, როგორც აგერ ეს კაცი ცხოვრობს თავის მეგობრობაში, მეზობლობაში, თავის წრეში — ამაღლებულად, უხინჯოდ, სამაგალითოდ.

# უცხოური იუმორი

● აბრამი მთელი ცხოვრება პატიოსნად ცხოვრობდა, მაგრამ ბედნიერება გვერდს უვლიდა. ბოლოს მოთმინება დაკარგა და ეკლესიაში წავიდა. ხელები ცისკენ აღაპყრო და დაიწყო ჩივილი:

— ღმერთო! რატომ არ გიყვარვარ?! ჩემმა მეზობელმა ხაიმმა ლატარეაში სარეცხი მანქანა მოიგო. მე კი, რომელიც მთელი ცხოვრება მორწმუნე ვიყავი, არასოდეს არაფერი მომიგია! რატომ ხარ ჩემს მიმართ ასეთი სასტიკი, ღმერთო?!

ანგელოზებს შეეცოდათ აბრამი და მიფრინდნენ ღმერთთან.

— ღმერთო, ნუთუ ასეთი ძნელია შენთვის დაეხმარო აბრამს, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია?!

— მე არ მენანება დახმარება, — უპასუხა ღმერთმა, — მაგრამ დაე, ერთხელ მაინც იყიდოს ლატარეის ბილეთი!

● შიშველი კუდიანი დედაბერი მიფრინავს ტყეში. შეხვდა უკვდავი კოშჩეი.

— შენ რა, დედაკაცო, სიბერისაგან სულ გამოთაყვანდი, შიშველი დაფრინავ ტყეში.

— ეროტიკული კაბა მაცვია, — მიუგო კუდიანმა დედაბერმა.

— ააა... მაშინ გაგეუთოვებინა მაინც.

● ერთხელ ჩუქჩა მივიდა ქურუმთან და ჰკითხა:

— როგორი ზამთარი იქნება — თბილი თუ ცივი?

მკითხავი ჩაფიქრდა: „თუ ვიტყვი, რომ თბილი, მან შეიძლება შეშა არ მოამზადოს. აჯობებს ვუთხრა, რომ ცივი ზამთარი იქნება.

ასეც მოიქცა. შემდეგ შერცხვა თავისი ნათქვამის, მეტეოროლოგებთან მივიდა და ეკითხება:

— როგორი ზამთარი იქნება?

— შეხედე, ჩუქჩა შეშის დასამზადებლად წავიდა, — უპასუხეს მეტეოროლოგებმა, — ე. ი. ცივი.

● სიკვდილის შემდეგ პატიოსან კაცს კარგი საქციელისათვის არჩევანი შესთავაზეს ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის. მაგრამ მანამდე ექსკურსიაზე წაიყვანეს, რათა ერთიცა და მეორეც ეჩვენებინათ. მან ჯოჯოხეთში დაინახა, რომ უზარმაზარ ცხელწყლიან ქვაბში მამაკაცები ორთქლის აბაზანებს ღებულობენ, ლამაზ ქალიშვილებს კი მოაქვთ ცივი ლუდი, უკრავს ჯაზი... სამოთხეში კი ნახა უშვილძირო მორწმუნეები, რომლებიც მოკლებული იყვნენ ყოველგვარ გართობას.

— რა თქმა უნდა, მე ჯოჯოხეთს ვარჩევ, — თქვა კაცმა. — მთელი ჩემი ცხოვრება მოკრძალებულად ვცხოვრობდი, სიკვდილის შემდეგ ამის კომპენსაცია მინდა.

ეშმაკებმა მაშინვე ჩაავლეს ხელი და ჩააგდეს ცხელი კუპრით სავსე ქვაბში.

— თქვენ ხომ სრულებით სხვა მაჩვენეთ! — აღშფოთდა კაცი.

— უზარმაზარი განსხვავებაა ემიგრაციასა და ტურიზმს შორის, — უპასუხეს ეშმაკებმა.

● ერთხელ კუდიანმა დედაბერმა ახალგაზრდა ლამაზი ყმაწვილი დაიჭირა და უთხრა:

— თუ გამოიცნობ ჩემს გამოცანას, მე შენ დაგნებდები, თუ ვერ გამოიცნობ — შეგჭამ.

ახალგაზრდამ შეხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— უმჯობესია, შემჭამოს...

კუდიანმა დედაბერმა გააგრძელა:

— მწვანეა, ჭაობში ცხოვრობს, დახტის. სახელის დასაწყისია „ბა“, დასასრულია „ყიყი“, რა არის?

— კალია!

— ა-ა-ა, ეშმაკუნა, გამოიცანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატალია გინზბურგი იტალიელი მწერალია. დაიბადა 1916 წელს პალერმოში, ბავშვობა და ყმაწვილქალობა გაატარა ტორინოში, სადაც მამამისი ჯუზეპე ლევი უნივერსიტეტში ანატომიას ასწავლიდა. პირველი მოთხრობა ჩვიდმეტი წლისამ დაწერა. 1938 წელს თხოვდება ლეონე გინზბურგზე — ტორინოს უნივერსიტეტიდან ანტიფაშისტური მოღვაწეობისათვის დათხოვილ, რუსული ლიტერატურის პროფესორზე. ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები „ჩემი ქმარი", „გზა ქალაქისკენ", „ყველაფერი სწორედ ასე იყო" (ამ მოთხრობას მიეკუთვნა პრემია „ტემპო"), „ყველა ჩვენი გუშინდელი დღე" (მიენიჭა პრემია „ვეიონი"), „ვალენტინო" (დაჯილდოვდა პრემია „ვიარეჯოთი"), „საღამოს ხმები", „პატარა სათნოებები", ავტობიოგრაფიული რომანი „ოჯახური საუბრები" (მიეკუთვნა იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია „სტრეგა"), პიესა „საგაზეთო განცხადება" (მიეკუთვნა საერთაშორისო თეატრალური პრემია, დადგა ლუკინო ვისკონტიმ), „მე შენზე ხუმრობით დავქორწინდი" (ეკრანიზებულია), მოთხრობა „პარიკი", რომელიც დაწერილია სცენური მონოლოგის სახით, ღრმად პირადი ჩანახატი „ის და მე", ეპისტოლარული რომანი „ძვირფასო მიქელე!". ნატალია გინზბურგის ნაწარმოებები გამოირჩევა სახეების მდიდარი პალიტრითა და ღრმა ფსიქოლოგიზმით.

# ის და მე

## ნატალია გინზბურგი


მხატვარი დიმა ერისთავი

მას ყოველთვის სცხელა. მე ყოველთვის მცივა. ზაფხულში, პაპანაქებაში, ის წამდაუწუმ კვნესის და საშინლად ბრაზობს, თუ საღამოს მე ჯემპერს ვიცვამ.

ის თავისუფლად ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე, მე თავისუფლად ვერც ერთ ენაზე ვერ ვსაუბრობ. იმ ენებზეც კი, რომელიც მან არ იცის, რაღაცნაირად ახერხებს სათქმელის ახსნას.

მას არსად ებნევა გზა, მე პირიქით. უცხო ქალაქში ის მეორე დღესვე ფარვანასავით დაფრინავს, მე კი ზოგჯერ გამვლელებს ვეკითხები, როგორ მივიდე ჩემს საკუთარ სახლამდე. ის ვერ იტანს რაიმე ჰკითხოს გამვლელებს, როცა მანქანით დავდივართ, მოითხოვს, მუხლებზე რუკა მედოს. ჩემთვის რუკა ჩინური ანბანია. მე წითელი პუნქტირებისა და ლაბირინთების ინჩიბინჩი არ გამეგება, ის კი ამაზე ბრაზობს.

ის აღმერთებს თეატრს, ფერწერას, მუსიკას — ყველაზე მეტად მუსიკას. მე მუსიკაში სრული პროფანი ვარ, ფერწერისადმი გულგრილი გახლავართ, თეატრში მოწყენილობისგან მამთქნარებს. ერთადერთი რამ ამ ქვეყნად, რაც მესმის და რაც მიყვარს, პოეზიაა.

მას მუზეუმები იტაცებს, მე მჭანცავს: მუზეუმებში ყოველთვის უხალისოდ, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებით დავდივარ. მას ბიბლიოთეკები უყვარს, მე მძულს.

მას მოსწონს მოგზაურობა, საზღვარგარეთ გასეირნება, გული უცნობი ადგილებისკენ მიუწევს. მე კი, ჩემი ნება რომ იყოს, მთელი ცხოვრება შინ დავჯდებოდი ფეხმოუცვლელად.

არადა, ყველგან მასთან ერთად მივდივარ: მუზეუმებშიც, ეკლესიებშიც, ოპერაშიც, სიმფონიურ კონცერტებზეც, და ყველგან, როგორც წესი, მეძინება.

მას უამრავი მეგობარი ჰყავს დირიჟორთა და მომღერალთა შორის, სპექტაკლის შემდეგ უყვარს მათთან კულისებში საუბარი, მე მასთან ერთად მივუყვები გრძელ დერეფნებს, მივდივარ მომღერლების საპირფარეშოებში და ვისმენ, როგორ ესაუბრება კარდინალებისა და ხელმწიფეების კოსტუმებში გამოწყობილ ადამიანებს.

მისი შეცბუნება ძალზე ძნელია, ჩემი ძალზე იოლი. თუმცა, მე მაინც ვნახე, როგორ ეცვლება მას ნირი პოლიციელების წინაშე, როცა ბლოკნოტითა და ფანქრით ხელში მოდის რომელიმე მათგანი ჩვენს მანქანასთან. აი, ამ დროს ის თავს დამნაშავედ მიიჩნევს, თუნდაც არაფერი დაეშავებინოს. ჩემის აზრით, ის პირდაპირ აღმერთებს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მე ამ წარმომადგენლებისა მეშინია, მას — არა. ის მათ პატივს სცემს. ეს სხვადასხვა რამეებია. თუ ჩვენ დასაჯარიმებლად გვიახლოვდება პოლიციელი, მე მაშინვე შიში მიპყრობს და მგონია, ციხეში ჩამსვამენ. მას ციხისა არ ეშინია, მაგრამ კანონისადმი პატივისცემისგან შეცბუნებული ლაქუცობს.

სხვათა შორის, კანონიერი ხელისუფლების მიმართ ასეთი მოკრძალების გამო მონტეზის* დროს ჩვენ ერთმანეთი მაგრად გამოვლანძღეთ.

მას სახლში გაკეთებული ატრია, ცხვრის დაბეგვილი ხორცი, ალუბალი და წითელი ღვინო უყვარს, მე ყველანაირი წვნიანი, ერბო-კვერცხი და მწვანილი.

— შენ მონასტრის ტაბლას უნდა უჯდე, — მეუბნება ის, — სამარხვო წვნიანს შეექცეოდე ბერებთან ერთად. მათთვის სულერთია, რას შეჭამენ. ოღონდ კი ფაშვი ამოიყორონ. თავის თავს კი დიდ კაცთმოყვარედ მიიჩნევს. რესტორნებში მეტრდოტელთან მუსაიფობს ღვინოების ღირსებებზე, ორ-სამ ბოთლს უკვეთავს, მათ ყველა მხრიდან ათვალიერებს, თან ღრმააზროვანი სახით ხელს ისვამს წვერზე.

ინგლისში ზოგიერთ რესტორანში ასეთი რიტუალი არსებობს: ვიდრე ღვინოს შევუკვეთდეთ, ოფიციანტი რამდენიმე ყლუპს გასასინჯად გისხამთ ჭიქაში. მას ეს ყოველთვის აცოფებდა: ოფიციანტს ხელს უშლიდა და ხელიდან ართმევდა ბოთლს, მე კი ვცდილობდი შემეგნებინებინა მისთვის, რომ ოფიციანტი აქ არაფერ შუაში იყო და ადამიანისათვის თავისი მოვალეობის შესრულებაში ხელი არ უნდა შეეშალა.

ის კინოშიც არასოდეს იძლევა იმის უფლებას, რომ კონტროლიორმა ადგილამდე მიაცილოს, ეგრევე აჩეჩებს მას ორიოდე გროშს და ქალიც თავისი ფარნით, საითაც უთითებს, იმის საპირისპირო მხარეს ჯდება.

კინოში მას ეკრანთან ახლოს ჯდომა უყვარს. ასე იცის მაშინაც, როცა მეგობრებთან ერთად ვსხედვართ და სურათს ვუყურებთ. მეგობრები, როგორც ადამიანთა უმეტესობა, ეკრანიდან მოშორებით მოკალათდებიან ხოლმე. ის ერთ-ერთ პირველ რიგში ჯდება განმარტოებით. ჩემთვის სულ ერთია, სად დავჯდები. კარგად ვხედავ, მაგრამ რაკი მეგობრებთან ერთად მოვედი, ზრდილობისთვის მათთან ერთად ვჯდები. და მაინც ვიტანჯები, რომ ის მარტო დავტოვე: წარმოვიდგენ, როგორ ზის ის თავისთვის იქ, ეკრანს თითქმის ცხვირმიდებული, და უთუოდ ძალიან განაწყენებული.

ჩვენ ორივეს გვიყვარს კინო და მზადა ვართ ნებისმიერ დროს გავქანდეთ ნებისმიერი ფილმის სანახავად. მაგრამ მან ზედმიწევნით, ძირფესვიანად იცის კინოს ისტორია, იცნობს რეჟისორებისა და მსახიობების ცხოვრებას, იმათაც კი, ვინც ეკრანზე აღარაა და მივიწყებულია. ის რომელიღაც, ძალზე შორეულ უბანშიც კი წავა ძველი, ჯერ ისევ მუნჯი ფილმის სანახავად, თუკი იქ, თუნდაც რამდენიმე წამით ჩნდება მსახიობი, რომელიც მისთვის ბავშვობისდროინდელი მოგონებებითაა ძვირფასი. მახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს სადღაც ლონდონის გარეუბანში გადიოდა ოცდაათიანი წლების ფილმი საფრანგეთის რევოლუციაზე. მას ეს ფილმი ჭაბუკობაში უნახავს. იქ ეპიზოდურ როლში მაშინ სახელგანთქმული ქალია გადაღებული. ჩვენ იმ ფილმის სანახავად გავეშურეთ. ბურუსი იდგა, რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ ძლივს მივაგენით სავსებით ერთნაირ უფერულ შენობებში, ჩამდინარე ბინძურ წყლებსა და ფარნებს შორის ჩამალულ კინოთეატრს. მე მუხლებზე რუკა მედო, მაგრამ მისი არაფერი გამეგებოდა, ის კი ბრაზობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ის კინოთეატრი ხომ მაინც მოვნახეთ და, აი, მთლად, ცარიელ დარბაზში ვსხედვართ. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მისმა საყვარელმა მსახიობმა ქალმა ეკრანზე გაიელვა. ეს ნახა თუ არა, წასასვლელად გაემზადა, მე კი ამდენი წოწიალის მერე მაინც მინდოდა ფილმის ბოლომდე ყურება. არ მახსოვს, ვინ გაიტანა თავისი, ალბათ მან, და იმ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ დავტოვეთ კინოდარბაზი, დავტოვეთ თუნდაც იმიტომ, რომ უკვე გვიანი იყო: სახლიდან შუადღისას გამოვედით. ახლა კი ვახშმობის დრო მოტანებულიყო. მე მას ვთხოვე ჩემთვის მოეთხრო, თუ რით მთავრდება ფილმი. მაგრამ ვერაფერს მივაღწიე — ის ამბობდა, თითქოს, სიუჟეტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის მსახიობი ქალი, მისი წამიერი გაელვება, მისი პროფილი, ჟესტი, კულულები...

მე ვერ ვიმახსოვრებ მსახიობების გვარებს, მათ სახეებს, ძლივს ვცნობ უპოპულარეს მსახიობებსაც კი. ის საშინლად ბრაზობს: ღმერთმა ნუ ჰქნას, რაიმე ვიკითხო ამა თუ იმ მსახიობზე, რომ მან მაშინვე იფეთქოს:

— შენა, რა, უილიამ ჰოლდენი ვერ იცანი?

— დიახ, მე ნამდვილად ვერ ვიცანი უილიამ ჰოლდენი. მაგრამ კინო მეც მიყვარს და უკვე ბევრი წელია რეგულარულად დავდივარ კინოში, თუმცა მისი ცოტა რამ თუ გამეგება, მან კი ყველაფერი ზედმიწევნით იცის. სიტყვას მოჰყვა და, რამაც უნდა დააინტერესოს ის, უსათუოდ ჩაწვდება სიღრმეში. მე კი რა... ჩემმა მგზნებარე გატაცებებმა ჩემს საერთო კულტურას ცოტა რამ, უკეთეს შემთხვევაში, ახალი შეგრძნებები და მოგონებების ნაკუწები თუ შემატა.

ის ამბობს, რომ მე ცნობისმოყვარე არა ვარ, მაგრამ ეს სწორი არაა. ზოგი რამ მეც მაინტერესებს და ვისწრაფვი ეს ცნობისწადილი დავიკმაყოფილო. მართალია, შემდეგ ჩემში რჩება მხოლოდ მოგონებების ნაფლეთები. ზოგჯერ ფრაზა, სიტყვა, ინტონაცია... მაგრამ ჩემი შინაგანი სამყარო, სადაც მოქუჩებულია ყველა ეს მოგონება, ფრაზა და სიტყვა, რომლებიც ერთმანეთს არაფრით უკავშირდება, თუ არა რაღაც ფარული, თვითონ ჩემთვისაც უცნობი ძაფებით, ეს სამყარო მოსაწყენი და ულიმღამოა. მისი შინაგანი სამყარო კი სიცოცხლის შფოთია, სიმდიდრეა, კულტურაა. ეს ნაყოფიერი, მორწყული ველია, სადაც ყველაფერია: ტყეებიც, საძოვრებიც, ბაღებიცა და სოფლებიც. რასაც უნდა ვაკეთებდე, არასოდეს არ ვგრძნობ საკუთარი თავის რწმენას, ყველაფერი ძნელი, დამქანცველი მეჩვენება. მე ზარმაცი ვარ: ვიდრე საქმეს ბოლომდე მივიყვან, აუცილებლად უნდა წამოვწვე დივანზე. ის კი საქმის ბოლომდე მიმყოლია. რადიოს ჩართავს და საშინელი სისწრაფით აკაკუნებს საბეჭდ მანქანაზე. ნასადილევი, კორექტურით ან წიგნით ხელში წვება, კინოთეატრიდან თეატრში მიმაჩანჩალებს, იქიდან მიღებაზე. ყველაფერ ამასთან ერთად, ის დღის განმავლობაში უამრავი საქმის მოთავებას ასწრებს, სულ სხვადასხვა ყაიდის ადამიანებს ხვდება, მაგრამ, საკმარისია თავად მე ვცადო ასეთივე რიტმით ცხოვრება, რომ არაფერი გამომივიდეს: იქ, სადაც ნახევარ საათს ყოფნას ვაპირებდი, ნახევარი დღე ვრჩები, ქალაქში ვიბორიალებ თუ გადავეყრები რომელიმე ჩემს ყველაზე აბეზარ ნაცნობს, რომელთანაც შეხვედრა

*) 50-იანი წლების გახმაურებული პროცესი რომაელი ქალის ვ. მონტეზის გაუხსნელი მკვლელობის გამო.

უველაზე ნაკლებად მინდოდა, ის იქით წამიყვანს, სადაც უველაზე ნაკლებად მსურდა ყოფნა.

როცა ხალამოს მე მას ვუუვები იმას, თუ რას ვაკეთებდი მის არყოფნაში, ამბობს, რომ ჩემთვის მთელი ეს დღე წყლის ნაყვა იყო, დამცინის, მაღიზიანებს და ბრაზობს, თითქოს უმისოდ არაფრის მაქნისი ვარ.

მე არ შემიძლია ჩემი დროის გამოყენება, მას შეუძლია.

ის ალმერთებს მაღალ საზოგადოებაში მიღებებს. და თუ უველა მამაკაცს მუქი ტანსაცმელი აცვია, ის აუცილებლად ღია ფერის ტანსაცმელს იცვამს: ყოველ შემთხვევაში, ხალამო-წვეულებისთვის სამოსლის გამოცვლა აზრდაცა არ მოუვა. მას ამ დროს შეიძლება ძველი მოსასხამი ჰქონდეს წამოსხმული და ეხუროს უფორმო ქუდი, რომელიც სადღაც ლონდონში გამოჩხრიკა. მიღებებზე დიდხანს არ ჩერდება: ნახევარ საათში ასწრებს ჰიქით ხელში ფეხზე მდგომმა ლაპარაკით გული მოიჯეროს და უამრავი ნამცხვარი შთანთქას. მე ნამცხვრებს არ ვეკარები, მიმაჩნია, რომ, რაკი ის აქ არც ისე ბევრია, მე თავის შეკავება მმართებს. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ეს-ესაა ვიწყებ აქაურობასთან შეგუებას, მას ეს უველაფერი ბეზრდება და ძალით მივყავარ აქედან.

მე ცეკვა არ შემიძლია. მას შეუძლია. მანქანაზე ვერ ვბეჭდავ. ის ბეჭდავს.

ავტომობილი არ დამყავს. არაერთხელ დავაპირე მართვის მოწმობის აღება, მაგრამ ის ამის წინააღმდეგია. ამბობს, მაინც არაფერი გამოგივიდოდაო. ჩემის აზრით, მოსწონს, რომ ბევრ რამეში მასზე ვარ დამოკიდებული.

მე სულ ვერ ვმღერი. ის მღერის. მას ბარიტონი აქვს. ის რომ სერიოზულად მიჰყოლოდა ამ გზას, ალბათ, სახელმოხვეჭილი მომღერალი დადგებოდა.

მუსიკა რომ შეესწავლა, დირიჟორიც გახდებოდა. მოსმენისას ის ყოველთვის დირიჟორობს, ფანქარს იქნევს. და იმავდროულად მანქანაზე ბეჭდავს და ტელეფონზეც ლაპარაკობს. ამ კაცს ერთდროულად უამრავი საქმის კეთება შეუძლია.

ის ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და, ვფიქრობ, ძალიან რიგიანადაც. მას შეეძლო მრავალი პროფესიიდან ერთ-ერთი ამოერჩია. მაგრამ არ ნანობს, რომ სწორედ ასეთი არჩევანი გააკეთა. მე არჩევანი არ მქონდა, ბავშვობიდანვე ვიცოდი, ვინ ვიქნებოდი. არც ვნანობ რამეს, მაგრამ მე ხომ სხვა არაფერი შემიძლია.

მე მოთხრობებს ვწერ. დიდხანს ვიმუშავე გამომცემლობაში.

ცუდად არა, მაგრამ არც მაინცდამაინც კარგად ვიმუშავე. ასე იყო თუ ისე, ყოველთვის მესმოდა, რომ ჩემი ადგილი აქ იყო. კოლეგებთან და ასე რომ არ ყოფილიყო, მე მაშინ სასოხ წარვიკვეთდი და, უბრალოდ მუშაობას ვერ შევძლებდი.

დიდხანს ველოლიავებოდი ოცნებას, ოდესმე კინოსთვის სცენარი დამეწერა, ამის შესაძლებლობა არასოდეს მომეცა, ინიციატივის გამოჩენა კი მე არ ძალმიძს. ახლა მე ამაზე ოცნებასაც კი მივანებე თავი. ის კი, როცა უფრო ახალგაზრდა იყო, სცენარებს წერდა. გამომცემლობაშიც მუშაობდა. მოთხრობებსაც თხზავდა... ერთი სიტყვით, აკეთებდა უველაფერს, რასაც მე ვაკეთებდი და ამის გარდა, ბევრ სხვა რამესაც აბამდა თავს.

ის ძალზე მარჯვედ ბაძავს ადამიანებს, განსაკუთრებით ერთ მოხუც გრაფინიას. ალბათ, მისგან კარგი მსახიობი გამოვიდოდა.

ერთხელ ლონდონში მან სცენაზე იმღერა. „იობს" ასრულებდნენ. მას ფრაკის ქირით აღება დასჭირდა. რომელიღაც პიუპიტრის წინ იდგა ფრაკიანი და მღეროდა. ეს სიმღერაზე უფრო მეტად რეჩიტატივი იყო, მე კი ლოჟაში შიშისაგან გული მისკდებოდა. მეშინოდა, რომ ის დაიბნეოდა, ან მოფამფალებული შარვალი ჩაძვრებოდა.

მის ირგვლივ იდგნენ ფრაკიანი მამაკაცები და ხალამოს კაბებში გამოწყობილი ქალები, რომლებიც ანსახიერებდნენ ანგელოზებს, ეშმაკებს და „იობის" სხვა პერსონაჟებს.

მისმა დებიუტმა დიდი წარმატებით ჩაიარა: ამბობდნენ, ჩინებულად გაართვაო თავი ამ როლს.

მე რომ მუსიკა მყვარებოდა, მთელი არსებით მეყვარებოდა. მაგრამ მუსიკა არ მესმის და კონცერტებზე მაინც მივყავარ იძულებით. ერთხანს კი ვუსმენ, მერე თანდათან სულ სხვა, საჩემო ფიქრებში ვინთქმები, ან ღრმა ძილით ვიძინებ.

მართალია, სიმღერა მიყვარს. ვერ ვმღერი, არც სმენა მაქვს, მაგრამ ზოგჯერ, როცა მარტო ვრჩები, რაღაცას ჩავიღიღინებ ხოლმე. ბევრჯერ უთქვამს, სმენა არა გაქვს და კი არ მღერი, კატასავით კნავიო. როცა ის ისმენს, როგორ ვმღერი, მაშინვე იწყებს ჩემს გამოჯავრებას და ამბობს, შენი სიმღერა ვოკალური ხელოვნების ახალი სახეობააო.

მე ბავშვობიდან მიყვარდა ჩემს მიერ შეთხზული მელოდიების ღიღინი, არადა, ის მელოდიები ისეთი გულის გამაწვრილებელი და ნაღვლიანი იყო, რომ ცრემლი მადგებოდა თვალზე.

ასევე, ფერწერაში, და საერთოდ, სახვით ხელოვნებაშიც ვერ ვერკვევი, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ, აი, ის კი, რომ მე მუსიკა არ მიყვარს, ნამდვილად მწყინს: ეტყობა, მთელი ჩემი სული გაწამდა იმის გამო, რომ ამ სიყვარულის ნიჭი არ მებოძა. ვერაფერს გააწყობ: ეტყობა, ვერასოდეს ვისწავლი მუსიკის სიყვარულს და ვერასოდეს შევიყვარებ მას. ისეც ხდება, რაღაც მელოდია მომეწონება, მაგრამ შემდეგ მაინც მავიწყდება, მაგრამ როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, რისი [illegible] ვრებაც არ ძალგიძს?

როცა სიმღერას ვისმენ, მხოლოდ სიტყვებს ვიმახსოვრებ და მოწონებული სტრიქონები შემიძლია უსასრულოდ ვიმღერო, ვცდილობ მოტივიც აღვადგინო და მას ჩემი კატისებური მანერით ვიღიღებ. ამით თავს თითქმის ბედნიერად ვთვლი.

ვფიქრობ, რომ ჩემს მოთხრობებში მუსიკა ყოველთვის იყო სადღაც ჩემს ახლოს, მაგრამ გაუგებარია, რატომ არასოდეს ჩაბუდდა ის ჩემში.

ჩვენს სახლში ყოველდღე მუსიკა ჟღერს. ის რადიოს რომ ჩართავს, აღარ გამორთავს და ფირფიტასაც ატრიალებს. მე ვცდილობ პროტესტი განვუცხადო და ვუხსნი, რომ ასეთ ვითარებაში მუშაობა არ შემიძლია, რაზეც ის მპასუხობს, კარგი მუსიკა ნებისმიერ სამუშაოს მხოლოდ თუ არგებსო.

მან უამრავი ფირფიტა შეიძინა და ირწმუნება, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფონოტეკა მაქვსო.

დილ-დილობით აბაზანიდან მთლად სველი, ხალათმოხურული გამოდის, ჯდება ხავედ მანქანასთან და იწყებს თავის ხმაურიან და ბობოქარ სამუშაო დღეს. მან ზომა არაფერში იცის: აბაზანას ისე აავსებს პირთამდე, რომ იქიდან წყალი ილვრება, ასევე ავსებს ჩაიდანსაც და ფინჯანსაც. იმდენი პერანგი და პალსტუხი აქვს, ვერ დაითვლი, ჟელიან ფეხსაცმელებს კი, პირიქით, ძალზე იშვიათად ყიდულობს.

ჩემი დედამთილი ჰყვება, თითქოს ბავშვობაში ის ძალზე აკურატული და თავმოყრილი იყო. ერთხელ, როგორღაც, სოფელში, წვიმიან დღეს, როცა ქუჩაში გაუვალი ტლაპო იდგა, ის თეთრი კოსტუმითა და თეთრი წაღებით გავიდა სახლიდან და მოახერხა ისე დაბრუნებულიყო შინ, რომ არც ტანსაცმელი და არც წაღები ოდნავადაც კი არ დათხუპნოდა. ახლა ის პიწკია ბუნებაში აღარ არსებობს, საშინელი ფეთხუმი გახდა.

ამასთან ის მუყაითად ინახავს გაზის ქვითრებს. საწერი მაგიდის უველა უჯრა ამ ქვითრებითაა ამოვსებული. მე უჯრებში მიმალულ ძველი ბინების ქვითრებსაც კი ვპოულობ. ის ჯიუტად ამბობს უარს მათ გადაყრაზე.

სახლში ხშირად ვნახულობ ხოლმე გამხმარ ტოსკანურ სიგარებს და ალუბლის ხისგან გამოჭრილ მუნდშტუკებს.

მე უფილტრო სიგარეტს „ხტოპს" ვეწევი, იგი ზოგჯერ ტოსკანურ სიგარას აბოლებს.

მეც საშინელი ფეთხუმი ვარ, თუმცა, რაც წლები გადის, უწესრიგობა თანდათან მბეზრდება და ახლა დროდადრო მიჩნდება სურვილი იმისა, რომ გავერკვე, რა ხდება კარადებში. ამის წადილი, ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ, დედაჩემისგან დამყვა. და, აი, მე უდიდესი გულმოდგინებით მოშყავს წესრიგში კარადები. ზაფხულობით ყოველ უთს ღია ფერის ჩვარს ვაფენ, ისე კი, ჩემს ქაღალდებს მე ძალზე იშვიათად ვალაგებ: დედაჩემს ხომ წერილების წერა არ უყვარდა და ამიტომ მას ქაღალდები არ ჰქონდა. ჩემი წესრიგი და ჩემი უწესრიგობა აღსავსეა სინანულით, სინდისის ქენჯნითა და ყოველნაირი მტკივნეული განცდებით. ის კი ამაყობს თავისი უწესრიგობით. მიიჩნევს, რომ ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც ისაა, ანგრეული მაგიდა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

ჩემი გაუბედაობა, დაუჯერებლობა, ბრალეულის კომპლექსი მისი მეოხებით მხოლოდ ძლიერდება, ღრმავდება. რასაც უნდა ვაკეთებდე, ყველაფერი მაინც მის ჩაცინებას იწვევს. ბაზარში რომ მივდივარ, ისეც ხდება, ის მითვალთვალებს, შემდეგ კი იცინის, როცა იხსენებს, როგორ ვყიდულობდი ფორთოხლებს, როგორ ვწონიდი სულ თითო თითოდ ხელისგულზე, და ბოლოს და ბოლოს ვირჩევდი, მისი აზრით, ყველაზე უვარგისს. გაიხსენებს, როგორ დავბორიალებდი ბაზარში მთელი საათის განმავლობაში, ვიდრე ერთ დახლთან ხახვს ვიყიდდი, მეორესთან ნიახურს, მესამესთან ხილს. ზოგჯერ ის თვალნათლივ მიჩვენებს თავის პრაქტიკულ უნარს: რაც კი სჭირდება, ყველაფერს ერთ წუთში, ერთ დახლთან, უყოყმანოდ ყიდულობს, თანაც მუშის ხელით პროდუქტების სახლში გაგზავნასაც აზერხებს. ყველაფერს ყიდულობს, ნიახურის გარდა, ნიახურს ვერ იტანს.

ის გამუდმებით მიმტკიცებს, რომ მე რიგიანად ვერაფერს ვართმევ თავს. მაგრამ როცა თვითონ არ გამოსდის რაიმე საქმე, მე მაშინვე ვიყრი ჯავრს და შემიძლია საშინლად გულის გამწყალებელი ვიყო.

ის ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ აფეთქდება ხოლმე და პირდაპირ გააფთრებამდე მიდის. მეცა მაქვს ასეთივე გააფთრების მიზეზები. მაგრამ ის მყისვე იჩუტება, მე კი კიდევ დიდხანს, თავის მომაბეზრებლად ვჭაჭლანებ, და ამ დროს განაწყენებულ კატას ვგავარ.

როცა ის ასე მძვინვარებს, მე ცრემლებს ვღვარვარებ, მაგრამ მას ეს ოდნავადაც არ აწუხებს, პირიქით, კიდევ უფრო ბრაზდება. მას მიაჩნია, რომ ყველფერი ეს წმინდა წყლის თვალთმაქცობაა. ამ შემთხვევაში, მართალიცაა: რაც უნდა ბრაზობდეს ის, და რამდენიც უნდა ვიტირო მე, ამით არანაირად არ ირღვევა ჩემი შინაგანი წონასწორობა.

მე ჩემი ნამდვილი მწუხარებისა და დარდის გამო არასოდეს ვტირი.

ერთხელ, მისი ჩვეულებრივი გამძვინვარებისას მე თეფში თეფშზე მივაფშვენი და ფინჯნების ნამსხვრევებით მოვარიალე იატაკი. ახლა ამას უკვე არ ვაკეთებ, შესაძლოა იმიტომაც, რომ დავბერდი და დრომ ჭკუა მასწავლა. ძველი ძალა აღარცა მაქვს, ამას გარდა, ჩემთვის ძალიან ძვირფასი რამაა სასადილო სერვიზი, რომელიც ჩვენ ოდესღაც ლონდონში პორტობელლოროულზე ვიყიდეთ.

ეს სერვიზი ისევე, როგორც ჩვენი ნაყიდი ბევრი სხვა ნივთი, მის მეხსიერებაში ფასს უკავშირდებოდა. სიამოვნებდა ფიქრი იმაზე, რომ მან იგი იაფად იყიდა და რომ გარიგება მისთვის სარფიანი გამოდგა. ამ სერვიზში ჩვენ თექვსმეტი ფუნტი გადავიხადეთ, ეს კარგად მახსოვს, ის კი იჟინებს, თორმეტი გადავიხადეთო. კიდევ, ერთი რამ: ჩვენ ლონდონში ვიყიდეთ სურათი — გატანჯული მეფე ლირი დაუხატავს მხატვარს. ის სურათი ახლა სასადილო ოთახში გვიკიდია. მან ეს სურათიც პორტობელთროულზე იყიდა, ხახვითა და კარტოფილით გაასუფთავა და ამბობს, რომ მასში გაცილებით იმაზე ნაკლები გადაიხადა, ვიდრე ეს მე მახსოვს.

ერთხელაც, ეს უკვე დიდი ხნის ამბავია, მან „სტანდეში“ თორმეტი ხალიჩა იყიდა. იაფად იყიდა, სახელდახელოდ. თანაც ეტყობა, უნდოდა ჩემთვის ყაირათიანობა დაემტკიცებინა, ჩემგან განსხვავებით: მე ხომ საერთოდ არ შემიძლია სახლისთვის რაიმე ვიყიდო... ეს ყურძნის ჭაჭისფერი ხალიჩები მალე საძაგელი სანახავი გახდა, ისე გაუხეშდა, მათთვის ხელის შეხებაც საშინელ განცდას იწვევდა ჩემში. და მე სიძულვილით ვუყურებდი, როგორ ფრიალებდნენ ეს ჭაჭისფერი საფრთხობელები სამზარეულოს აივნის შუა გაჭიმულ თოკზე. მე მას ამას ვახსენებ და აქამდე ნიშნს ვუგებ, თვალში ნაცარს ვაყრი ამ ხალიჩების გამო. ის კი თავს იმართლებს, იაფად ვიყიდე, ლამის მუქთად ვიგდე ხელთო. საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა, ვიდრე მათ გადავყრიდი: ჯერ ერთი, მეტისმეტად ბევრი იყო. თანაც, უკანასკნელ მომენტში ყოველთვის ეჭვი მიპყრობდა — იქნებ იატაკის ჩვრებად მაინც გამომეყენებინა. იმასაც და მეც ძლიერ გვიმძიმს ნივთების მოშორება. ჩემში ამით, ეტყობა, ებრაული მომჭირნეობა და მუდმივი სიჭოჭმანე იჩენს თავს. ის კი ყოველივე ამით საკუთრივ თავისი არაპრაქტიკულობისა და იმპულსურობის დაძლევას ცდილობს.

ჩვეულებრივ, ის ხოდასა და ასპირინს ბლომად ყიდულობს. თუ ავადმყოფობს, როგორც წესი, რაღაც უცნობი, იდუმალი ავადმყოფობები სჭირს და დალაგებულად ვერასოდეს ვერ ხსნის, რა სჭირს. ერთი დღით წვება, საბანში ისე ეხვევა, რომ მხოლოდ წვერები და ცხვირის წითელი წვერი მოუჩანს. ცხენის დოზებით სვამს ხოდასა და ასპირინს, თანაც მეუბნება, შენ მე ვერ გამიგებ, შენ ხომ არასოდეს ავადმყოფობ მსგავსად იმ ჯანღონით სავსე ბერებისა, რომლებსაც არანაირი ავადმყოფობა არ ეკარებათ. მე კი ფაქიზი, სუსტი არსება ვარ, ისეთი არსება, რომელზეც იდუმალი, გამოუცნობი სნეულებები ზემოქმედებენო. მაგრამ საღამო ხანს ის უკვე კარგადაა და სამზარეულოში გადის ატრიის წვნიანის შესამზადებლად.

ახალგაზრდობაში ის ლამაზი, აღნაგი, დახვეწილი იყო, წვერების ნაცვლად გრძელი ნაცრისფერი ულვაში ჰქონდა და ეს ამსგავსებდა მას კინომსახიობ რობერტ დონატს... ასეთი იყო ის ოცი წლის წინათ, როცა ჩვენ გავეცანით ერთმანეთს. მაშინ მას ძალიან ელეგანტური რამ — უჯრედოვანი ფანელის პერანგი ეცვა. ის ჩემს პანსიონამდე მაცილებდა. ვია ნაციონალეს მივუყვებოდით. მის გვერდით მოხუცად, გამოცდილებითა და წელში გატეხილ არსებად ვგრძნობდი თავს, ის კი მთლად ბავშვად, ჩემზე ათი წლით უმცროს ბიჭად მეჩვენებოდა. არ მახსოვს, ვია ნაციონალეზე იმ საღამოს რაზე ვლაპარაკობდით, ალბათ, უმნიშვნელო რაღაცეებზე. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან შორს ვიდექი იმ აზრისგან, რომ ჩვენ ოდესმე, თუნდაც ათასი წლის შემდეგ, ცოლ-ქმარი გავხდებოდით. შემდეგ ჩვენ კარგა ხანს არ გვინახავს ერთმანეთი, და როცა კვლავ შევხვდით, ის უკვე რობერტ დონატს კი არა, უფრო ბალზაკს ჰგავდა. ამ ხელახლა შეხვედრის შემდეგაც იმავე უჯრედოვან პერანგს იცვამდა, მაგრამ ახლა ეს პერანგი მის ტანზე პოლარული ექსპედიციის მონაწილის ჩასაცმელს ჰგავდა. წვერი ჰქონდა მოშვებული და უფორმო სატინის ქუდით კოხტაობდა. მთელი მისი გარეგნობა იმას გაფიქრებინებდათ, რომ ის ჩრდილოეთის პოლუსზე მიდიოდა. და მიუხედავად, რომ ყოველთვის სცხელა, არც თუ იშვიათად ისე იცვამს, თითქოს ირგვლივ მუდმივი ყინულების, თოვლისა და თეთრი დათვების საუფლო იყოს. ზოგჯერ კი, პირიქითაც, ის ბრაზილიაში ყავის პლანტაციების მეპატრონესავით დაიარება, ერთი სიტყვით, ყოველთვის ყველასგან განსხვავებულად იცვამდა.

როცა მას ზოგჯერ იმ ჩვენს დიდი ხნის წინანდელ გასეირნებას ვახსენებ ვია ნაციონალეზე. თავს იკატუნებს, თითქოს კარგად ახსოვს ის დღე, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს სიცრუეა — არაფერიც არ ახსოვს. მე ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, ნუთუ ეს ჩვენ ვიყავით, ნუთუ მაშინ, ოცი წლის იქით, იქ, ვია ნაციონალეზე ჩვენ ვსეირნობდით. ნუთუ ასე ძალდაუტანებლად და თავაზიანად ვსაუბრობდით ჩვენ ჩამავალი მზის სხივებით გასხივოსნებულები ყველაფერზე და არაფერზე. ნუთუ ჩვენ ვიყავით ის სასიამოვნო თანამოსაუბრეები, ახალგაზრდა ინტელიგენტები. ასე უნაღვლონი, ასე ზრდილნი, ასეთი უშფოთველი გულახდილობით რომ ვუცქეროდით ერთმანეთს და, ამასთან ერთად, მზად ვიყავით აქ, თუნდაც აგერ ამ კუთხეში, ამ მწუხრის ჟამს სამუდამოდ დავმშვიდობებოდით ერთმანეთს.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.

# პანორამა

## პორნო... მაიმუნებისათვის

1958 წელს ნიუნბერგის ზოოპარკში ჩაატარეს გორილების განაყოფიერების პირველი ცდა. ცხოველები ერთმანეთს გააცნეს. ისინი მოხარული იყვნენ სიყვარულს შედგომოდნენ, მაგრამ ადამიანებში გაიზარდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მაშინ ზოოპარკის თანამშრომლებმა არაორდინალურ გზას მიმართეს. გორილებს უჩვენეს... თავისებური პორნოფილმი გარეული ნათესავების ცხოვრებიდან.

გორილებმა დიდი ყურადღებით უყურეს ფილმს და მეტი პრობლემა სექსთან დაკავშირებით მათ არ ჰქონიათ.

## ყველაზე ხანგრძლივი კომა

უველაზე ხანგრძლივი კომა გადაიტანა ფლორიდელმა ელენ ესპოზატომ (დაიბადა 1934 წ. 8 დეკემბერს).

1941 წლის 6 აგვისტოს ექვსი წლისას გაუკეთეს ბრმა ნაწლავის ოპერაცია. ის კომაში ჩავარდა და არც მოსულა გონს ისე გარდაიცვალა 1978 წლის 25 ნოემბერს, 48 წლისა. ელენ ესპოზატომ უგონო მდგომარეობაში გაატარა 37 წელი და 111 დღე.

* * *

სახელგანთქმულმა ტოპ-მოდელმა კლაუდია შიფერმა გამოსცა მორიგი წიგნი „მოგონებანი", რომელსაც დართული აქვს სუპერ-მოდელის ასი ილუსტრაცია. წიგნი თვრამეტი დოლარი ღირს.

* * *

კარგა ხანია მონაკოს პრეს-სამსახური შეუპოვრად იგერიებს სამეფო ოჯახის გარშემო შეთხზულ ჭორებს. ამჯერად იგი იძულებული შეიქნა უარეყო ცნობა პრინცესა კაროლინასა და მსახიობ ვინსენტ ლინდონის ქორწინების შესახებ, ასევე წინ აღუდგა ხმებს, თითქოსდა მონაკოს პრინცმა ალერტმა ხელი სთხოვა ტოპმოდელ ნაომი ვემპბელს.

* * *

ფილმ „კაზიონში" მონაწილეობის შემდეგ ამერიკული კინოს სექს-ვარსკვლავმა შერონ სტიუნმა აღიარა, რომ ორმოცდათორმეტი წლის რობერტ დე ნირომ, რომელიც პარტნიორობას უწევდა ამ ფილმში, ყველაზე კარგი კოცნა იცის. ამ ჯრივ მან მეორე ადგილი სილვესტერ სტალონეს მიანიჭა.

დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის ჩარლზისა და პრინცესა დიანას ... ქორწინების კიდევ ერთ მიზეზად იქცა ჩარლზის გახმაურებული რომანი მისი ვაჟიშვილების აღმზრდელის, ოცდაათი წლის ტიგი ლე ბურკისადმი. ამ ამბავმა, ისედაც უკმაყოფილო მეუღლის გარდა, შეაწუხა პრინცის ადრინდელი საყვარელი კამილა პარკერი.

* * *

ჰემინგუეის შვილიშვილმა, ორმოცი წლის მარგომ ბაბუასაგან მემკვიდრეობით ალკოჰოლისადმი სიყვარული მიიღო. თუმცა ტოპ-მოდელის კარიერის დასაწყისში თავადაც იხვეჭდა მილიონებს. მერე კი ალკოჰოლმა და ნარკოტიკებმა სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება. დიდი ძალისხმევა დაჭირდა მარგო ჰემინგუეის კვლავ ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდა. აგერ უკვე ხუთი წელია ჟურნალ „პლეიბოის" ფურცლებზე იბეჭდება მისი ფოტოსურათები.

* * *

როგორც ცნობილია, ჩარლი ჩაპლინის ქალიშვილები: ორმოცდაათი წლის ჯერალდინა და ორმოცდაექვსი წლის ჯოზეფინაც მსახიობები გახდნენ. ამჯერად ამ ეკლიან გზას დაადგნენ მისი შვილიშვილები ოცდაერთი წლის კარმენი და ოცი წლის დოლორესი: 1990 წელს ისინი ერთად გადაიღეს ფილმში „სინათლე ბოლომდე". ახლა მშვენიერი კარმენი მონაწილეობს სერიალში „მთიელი", ხოლო დოლორესი იტალიაში მიიწვიეს.

---

სიკეთის ქმნას დაისახავს ცხოვრების მიზნად.

**— როგორია თქვენი მომავლის პერსპექტივები?**

— ეს-ეს არის საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდული ორგანიზაციების დახმარების პროგრამას „პარტნიორობა და განვითარება", რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის გაზრდას. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ სულ ახლახან შეიქმნა დემოკრატიული განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი გოგსაძე.

ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა რეგიონის ახალგაზრდობას შორის არსებული ტრადიციული კავშირების გაწყვეტა. ცენტრის მთავარი ამოცანა სწორედ ამ კავშირების აღდგენაა. ამერიკულ ინსტიტუტებთან (ჯორჯ მეისონის, მერილენდის და ტეხასის უნივერსიტეტები). წინასწარი შეთანხმების შედეგად ცენტრი განახორციელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდა ლიდერებისათვის სემინარების ორგანიზაციას თბილისში, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდა ლიდერებისათვის ჩაატარებს სემინარებსა და დისკუსიებს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდული ორგანიზაციების ქართველ, აფხაზ და ოს წარმომადგენლებს შორის კავშირების აღდგენასა და განმტკიცებას.

და ბოლოს, მინდა დავსძინო, რომ ჩვენთან ითანამშრომლებს ყველა ახალგაზრდა, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება.

**— იქნებ ორიოდ სიტყვა თქვენსა და თქვენი მეგობრების შესახებაც გვეთქვათ.**

— ფონდის საერთაშორისო პროგრამებს განაგებს ვიცე-პრეზიდენტი სანდრო ყურუშაძე. აგრეთვე ფონდის ვიცე-პრეზიდენტებია ვაჟა დურმიშიძე, დავით ვასაძე, ვასილ გოცირიძე, დავით გამყრელიძე, გია ბარამიძე... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, თითოეულ მათგანს დიდი წვლილი შეაქვს ფონდის გეგმების სწორად წარმართვასა და მის მიზანმიმართულ საქმიანობაში.

P. S. გიორგი კალანდაძეს თავის თავზე მხოლოდ ის დავტყუე, რომ არის 29 წლის, პროფესიით მხატვარია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ნანა, სანდრო და მარიამი. და კიდევ, ირაკლი კაკაბაძესთან ერთად ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის დამფუძნებელია.

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი კი ი. ნიკოლაძის ექვს ნომერში მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზეა განთავსებული და იქ ყოველთვის საქმიანი და მეგობრული ატმოსფერო სუფევს.

ესაუბრა **ნუნუ მაღრაძე**

* * *

● როგორც მეცნიერებმა გამოიკვლიეს, ავტომობილების ხმაური ზოგიერთ მგალობელ ჩიტს განაყოფიერების უნარს უკარგავს. ტრანსპორტის ხმა ახშობს ჩიტების გალობას, არღვევს რა მათ აკუსტიკურ ურთიერთობას, რაც საქორწილო რიტუალის უმნიშვნელოვანესი მომენტია.

* * *

● ამას წინათ ფილიპინებზე ერთობ გახმაურებული სასამართლო პროცესი გაიმართა. გაასამართლეს ქურდები, რომლებიც საფლავებს თხრიდნენ ჩონჩხის მუხლისთავების მოპარვის მიზნით. თურმე ქურდული გადმოცემის თანახმად, ჩონჩხის მუხლისთავები უნდა დაფქვა, მოაბნიო და ცეცხლი წაუკიდო იმ სახლთან, რომლის გაქურდვასაც აპირებ, სახლის პატრონს ღრმად ჩაეძინება და ქურდიც მშვიდად ჩაიდენს დანაშაულს.

* * *

● სამოციანი წლების პოპ-ვარსკვლავი ელვის პრესლი წმინდანთა პანთეონში მოათავსეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მისმა თაყვანისმცემლებმა აგეს ეკლესია, რომელშიც ყოველდღიურად უჩვეულო რიტუალი სრულდება — ერთგული მრევლი პირით დას-ვეგასისკენ (სადაც მომღერალი ცხოვრობდა) დგება და ლოცულობს, ყოველწლიურად კი პრესლის თაყვანსაცემად მემფისში. მიემგზავრება, სადაც იგი გარდაიცვალა.



ნახატი — ხუმრობა სანდრო ერისთავისა

## იტალიელთა პორტრეტი

● ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა იტალიელმა ეთნოფსიქოლოგმა ლუკა გოლდონიმ სულ რამდენიმე შტრიხით დახატა თანამემამულეთა ფსიქოლოგიური პორტრეტი. მაინც როგორები არიან იტალიელები? მათ სძულთ რიგები; მძღოლები პატივს არ სცემენ ფეხით მოსიარულეებს; საზოგადო ინტერესების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენენ; ახასიათებთ უკიდურესობამდე მისული ინდივიდუალიზმი. იტალიელები მხოლოდ გაჭირვების ჟამს ამჟღავნებენ სოლიდარობისკენ სწრაფვას, ხვდებიან, რომ ძალა ერთობაშია. მაგრამ, როცა საშიშროება აღარ ემუქრებათ, კვლავ ჩვეული ხასიათი იჩენს თავს და რიგითი იტალიელიც მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ზრუნვით იფარგლება. „სამხრეთული ტემპერამენტი აქ არაფერ შუაშია, — ამტკიცებს ლუკა გოლდონი, — ამგვარი ხასიათის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საუკუნეთა განმავლობაში პოლიტიკური მმართველობის აუტანელმა და გაუმართლებელმა ფორმამ, როცა მოუწესრიგებელი და ინდივიდუალისტი იტალიელი მკაცრი კანონმდებლობის მქონე ქვეყანაში გადადის საცხოვრებლად, ის, როგორც წესი, სანიმუშო მოქალაქე ხდება".

## როგორ ლაპარაკობდა მონა ლიზა?

● იაპონელი მაცუმი სუძუკი ხმის მკვლევარი გახლავთ. ის თვლის, რომ შესაძლებელია დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის ხმის აღდგენა. ამისათვის კი კომპიუტერს უნდა მივაწოდოთ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა თავისა და სამეტყველო აპარატის ზომა, ადამიანის სიმაღლე. თავისი მოსაზრება იაპონელმა მეცნიერმა არაჩვეულებრივი ცდით დაამტკიცა. მან გაზომა ჯოკონდას სახის სიგრძე, შეისწავლა ყბების სტრუქტურა, გამოთვალა ამ იდუმალებით მოსილი ქალბატონის სიმაღლეც, რაც 168 სმ. აღმოჩნდა. სულ მალე კომპიუტერისა და სინთეზატორის დახმარებით ჯოკონდა ამეტყველდა. სუძუკი მიიჩნევს, რომ მეცნიერება მალე ნათელს მოჰფენს ლეონარდოს არაჩვეულებრივი ქმნილების საიდუმლოს.

* * *

შიდსის ვაქცინის ძიება სერიოზულ სირთულეებს აწყდება. ბრიტანეთში ახლახან ჩატარებულმა კვლევამ ეჭვქვეშ დააყენა მკურნალობის დღემდე ცნობილი და მიღებული მეთოდები. საექსპერიმენტოდ ინფიცირებული მაკაკების სისხლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაავადების შემთხვევაში ცხოველების იმუნური სისტემის მოქმედება მიმართულია არა შიდსის ვირუსის, არამედ I ლიმფოციტების წინააღმდეგ. I ლიმფოციტებს კი შიდსის მკურნალობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ინგლისელი ექიმების აზრით, ვაქცინა შიდსის ვირუსთან ერთად ანადგურებს I ლიმფოციტებს და აჩქარებს დაავადების განვითარებას.

# კროსვორდი




**თარაზულად:** 1. კაცი, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს. 6. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება. 7. პერსონაჟი პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედის ტბა“. 11. კუზიანი კურდღელი. 12. ინფორმაციის გადაცემის საშუალება. 13. მსოფლიოში პირველი მფრინავი. 18. ამერიკელი მოცურავე, რომელსაც 9 ოლიმპიური ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. 20. ევრაზიაში ყველაზე დიდი მდინარე. 21. ყველაზე კალორიული პროდუქტი. 22. პერსონაჟი ნ. დუმბაძის ნაწარმოებიდან „მე ვხედავ მზეს“. 23. წყლის ფრინველი. 27. ესპანეთის ავიაკომპანია. 28. სინათლის ქვანტი. 29. ხართული თეატრში. 30. მუზეუმი პარიზში. 32. ქალაქი წყალში. 34. ამერიკული სიგარეტი. 36. სანჰიგიენური დაწესებულება. 37. ფულის ერთეული ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. 38. ძველი ჩინეთის პირველი დედაქალაქი.

**შვეულად:** 2. დიდი მონასტერი. 3. ვაშლის ღვინო. 4. ტლანქი, მოუქნელი. 5. ჰუნების წინამძღოლი. 8. ძველი რომაელი პოეტი — ავტორი გამოთქმისა „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. 9. დარიშხანის საბადო საქართველოში. 10. „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი. 14. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა. 15. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. 16. იტალიელი ბურატინო. 17. რისამე ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა, უკიდურესობა, თავშეუკავებლობა. 19. ოდისევსის სამშობლო. 25. ქალაქი, სადაც ყველაზე მაღალი შენობა დგას. 26. მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ატომური ელსადგური. 31. გეომეტრიული ფიგურა. 33. მორალის, ზნეობის შემსწავლელი მეცნიერება. 34. საჭმელების სია ფასების აღნიშვნით. 35. სოფელი ქიზიყში.

შეადგინა **მალხაზ კონიაშვილმა.**

იანვარ–თებერვალი
№ 1–2 1996

ყოველთვიური საზოგადოებრივ, პოლიტიკური და სალიტერატურო, სამხატვრო ჟურნალი

## შინაარსი:

**ინტერვიუ გიორგი ბარამიძესთან.**

**ციალა არდაშელია. ყველაზე დიდი ქართველი.**

**საპარლამენტო გვერდი.**

**ერთი შეკითხვა ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს.**

**გურამ ბედოშვილი. ორი ეტიუდი.**

**ეს ყველაფერი დასაწყისია.**

**მარიკა ხუბულია. იმედები რეალობად იქცევა.**

**ნინო გედევანიშვილი. ფაბერჟე.**

**ეთერ ჯაფარიძე. ისეთ სიმღერას გიმღერებ...**

**ვასილ გვეტაძე. კაცი კაცს ეხმარება.**

**ნატალია გინზბურგი. ის და მე (მოთხრობა).**

**იუმორი**

**კროსვორდი**

●

**სარედაქციო კოლეგია:**

**ჯანსუღ ჩარკვიანი** — თავმჯდომარე,

**გულნარა ბახტაძე** — პასუხისმგებელი რედაქტორი, **ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია** (მხატვარ-რედაქტორი), **ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.**

გადაეცა წარმოებას 5.03.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.04.96. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69.

ტირაჟი 1 000. შეკვეთა 255. ფასი 60 თეთრი



**Ежемесячный независимый общественно-политический и литературно - художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.**

## რედაქციის მისამართი:

380008. თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 42.

ტელეფონები, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42; რედაქციის სამდივნოს — 99-01-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა


მძვირფასო მეგობარო!

ჟურნალი „დროშა“ დღეიდან თქვენს სამსახურშია.

„დროშის“ რეკლამა განსაკუთრებული რეკლამაა...

არჩევანი თქვენს ხელთაა —

საქმიანი რეკლამა გსურთ?

ინებეთ —

იქნებ, საკუთარი წიგნის რეკლამა გჭირდებათ?

იქნებ, ახლობელს გინდათ სასურველი თარიღი

მიულოცოთ?

თანაგრძნობა გნებავთ გამოუცხადოთ ვინმეს?

თუ გსურთ, ახლობელ ადამიანებს კეთილი სიტყვა

შეაწიოთ, მოიგონოთ,

— ამისთვისაც მზად ვართ.

თუ გინდათ, იყიდოთ, გაყიდოთ, დააგირაოთ, გაცვალოთ

მიაკითხეთ ჟურნალ „დროშას“.

რუსთაველის 42

რედაქცია თქვენს სამსახურშია.

ჰ/138/1
ინდექსი 760

# 1996 წელი

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

### თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

### მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

### აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

### სექტემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

### ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |

### დეკემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |